საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდევური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 4 ივნისი. 2019 წ. №111 (8777) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

რუსმა ოკუპანტებმა დონბასში 5 წლის განმავლობაში 240 ბავშვი მოკლეს!

შემზარავი ინფორმაცია გავრცელდა გუშინ:

რუსმა ოკუპანტებმა დონბასში 5 წლის განმავლობაში 240 ბავშვი მოკლეს, ამ დროისთვის, 56 ბავშვი დაკარგულად ითვლება. ინფორმაციას უკრაინული საინფორმაციო სააგენტო Unian-ი ავრცელებს.

„აგრესორი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა, საარტილერიო სისტემებისა და ტანკების გამოყენებით დონბასში 700-ზე მეტი სკოლა დაანგრიეს. დაახლოებით 15 000 არასრულწლოვანი მუდმივ საფრთხეში იმყოფება რუსული საოკუპაციო ძალების მხრიდან. ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ბავშვებმა მიიღეს, მათ ცხოვრებაში მუდმივად დარჩება“, — ნათქვამია უკრაინის საზღვაო ძალების პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ნატომ უნდა დაარწმუნოს საქართველო და უკრაინა 11 წლის წინანდელი დაპირების რეალურობაში“

4



„ქარიშხალი ჭიქაში“ თუ ორი მეზობელი ერის „ბრძოლა“ ქართულ პოლიგონზე?!

6

ცოდნა სინათლეა!

ამერიკული დიპლომი 55 კურსდამთავრებულს

თბილისში, რუსთაველის თეატრში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოში კურსდამთავრებულთა პირველი გამოსაშვები ცერემონია გაიმართა. 55 კურსდამთავრებულს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ამერიკული საბაკალავრო დიპლომი გადაეცა კომპიუტერული ინჟინერიის, ელექტრული ინჟინერიის და ქიმია-ბიოქიმიის დარგში.

სან დიეგოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია კალიფორნიაში. ამჟამად, უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე საქართველოში 600-მდე სტუდენტი სწავლობს. კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

„ეს არის დიდი მიღწევა, რომ მოგეცათ საშუალება, თქვენს ქვეყანაში, თქვენს ოჯახებთან შეძელით, მიგეღოთ ის განათლება, რომლისთვისაც აქამდე ქვეყნიდან გასვლა იყო საჭირო, ზოგჯერ რთულ პირობებში, თავად ვიცი, როგორი მძიმე შეიძლება იყოს ეს, როცა ახალგაზრდა ხარ. აღნიშნული შესაძლებლობა ჩვენ აშშ-ის მთავრობამ და საქართველოს მთავრობამ მოგვცა. მადლობას მოვახსენებ ჩვენს პარტნიორებს ხანგრძლივი მხარდაჭერისთვის, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა განახორციელა. როცა საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, მოვაწერე ხელი პირველ კომპაქტს და ამით ძალიან ვამაყობ დღემდე. დღეს უკვე 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რომელიც მეორე კომპაქტის ფარგლებში შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. განათლებაში ინვესტირებით საქართველოს ეკონომიკური განვითარებას ემსახურება მეორე კომპაქტი“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული ბაკალავრიატის პროგრამების საქართველოში განხორციელება ეკონომიკაში ჩადებული და მომავალზე გათვლილი სერიოზული ინვესტიციაა.

არასოდეს გათეთრდება ავადმყოფი ყორანი – „ცრუსთავი-2“!

საქართველოს რკინიგზის განცხადება

„მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს რკინიგზის“ მიერ „შაბათის კურიერის“ ჟურნალისტს მიეწოდა სრულყოფილი და არგუმენტირებული პასუხები შვილობილი კომპანიის ვაგონებთან დაკავშირებით, კომენტარიდან ამოღებული იქნა ძირითადი და მნიშვნელოვანი გზავნილები.

საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება ხაზგასმა, თითქოს „საქართველოს რკინიგზის“ ქონების გადაცემა ხდება რუსულ კომპანიებზე. „საქართველოს რკინიგზამ“ მის 100%-იან შვილობილ კომპანია შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“ კაპიტალში ნამდვილად გადასცა 799 ერთეული ვაგონი, კერძოდ 599 ერთეული ხორბალმზიდი და 200 ერთეული ნახევარვაგონი. აღნიშნული ვაგონებიდან შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ მიერ 436 ერთეული ხორბალმზიდი 1-წლიანი იჯარით, კერძო აუდიტორის დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ფასად გადაეცა დუბაიში რეგისტრირებულ კომპანია „რეილვეი ტრანს უნიონს“. ამასთანავე 50 ხორბალმზიდი 1 წლიანი იჯარით ასევე საბაზრო ფასად არის გაცემული რუსულ კომპანია „რეილვეი ინვესტ გრუპზე“. დანარჩენი ასრულებს საექსპედიტორო მომსახურებას. ვაგონების იჯარით გაცემის მიზნობრიობასთან დაკავშირებით ორივე კომპანიამ წერილობით მიმართა „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილ კომპანიას და საიჯარო ქირის გადახდის გარდა, დამატებით იკისრეს გარანტირებული მოცულობის ტვირთბრუნვის განხორციელების ვალდებულება საქართველოს კორიდორში.

საიჯარო ურთიერთობასთან დაკავშირებით, გარდა ზემოაღნიშნული საბაზრო ფასისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ვაგონების დაზიანება-დაკარგვის რისკები დაზღვეულია და დამატებით მოცულობითი თანხები დეპონირებულია კონტრაქტორის მიერ კომპანიის ანგარიშებზე. ვაგონების მიმდინარე რემონტი

ხელშეკულებით დარეგულირებულია და არის მოიჯარის ვალდებულება. რაც შეეხება რუსულ კომპანიებთან ურთიერთობას, საქართველოს რკინიგზის ისტორიაში პირველად 2018 წელს დაიწყო რუსული ნახშირის საქართველოს დერეფნის გავლით ტრანზიტული გადაზიდვა. რაც კონკურენტუნარიანს და მიმზიდველს ხდის ჩვენს კორიდორს. ამ ეტაპზე გადაზიდულია 300,000 ტონამდე ქვანახშირი. ტვირთნაკადი მზარდია და მომდევნო წლების ჭრილში პროგნოზი შეადგენს დაახლოებით 2, 000, 000 ტონას.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ მიერ ბოლო ორი წლის ფინანსური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, გაზრდილია როგორც კომპანიის შემოსავლები, ასევე წმინდა მოგება: 2017 წლის შემდეგ, როცა კომპანიის შემოსავალი იყო 15,660,000ლარი, 2018 წელს, დაახლოებით სამჯერ გაიზარდა შემოსავალი და მიაღწია 41,935,457 ლარს, კომპანიის წმინდა მოგებამ კი შეადგინა 1,708,917 ლარი. რაც შეეხება 2019 წლის I კვარტალს — შემოსავალია 11,964,155 ლარი, აქედან მოგება არის 967,396 ლარი. 2019 წლის გეგმა ითვალისწინებს 65,252 მლნ. ლარის შემოსავალს, ხოლო მოგება — 9,827 მლნ. ლარს.

ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერ შრომით დამსაქმებელთან ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი რეგულირდება სამართლებრივ ჭრილში და არა მედიასივრცეში“, — აცხადებს საქართველოს რკინიგზა.

ორბელიანის მოედანი გუშინ ოფიციალურად გაიხსნა!

კახა კალაძემ, განახლებული ორბელიანის მოედნის გახსნამდე ერთი დღით ადრე, რეაბილიტაციის დასრულებული სამუშაოები კიდევ ერთხელ დაათვალიერა და მოსახლეობა 3 ივნისს, 20:00 საათზე, ორბელიანის მოედნის გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე მიიწვია.

ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია 2017 წლის ივნისიდან დაიწყო და სამუშაოებს ჯამში 2 წელი დასჭირდა.

ისტორიულ არეალში არსებულ 20 შენობას ჩაუტარდა რესტავრაცია-რეაბილიტაცია. მათგან 13 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. შენობების რეაბილიტაციის პარალელურად, ფხოვისა და ხაზინის ქუჩების ქვეშ განთავსდა 170 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომი, რომლის ფართობი 5700 კვადრატული მეტრია.

დასკვნით ეტაპზე განხორციელდა ორბელიანის მოედნის მიმდებარედ არსებული, ორი ძეგლის სტატუსის მქონე რეკრეაციული ზონის — 9 აპრილის სახელობის (ქვედა იარუსი) და ორბელიანების სახელობის სკვერების რეაბილიტაცია, სადაც განახლდა ინფრასტრუქტურა და გამწვანების კომპონენტი. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება 1.5 მლნ ლარია.

რეაბილიტაცია დასრულდა კეთილმოწყობის სამუშაოებით, რაც გულისხმობს 7 სარეაბილიტაციო ქუჩის, მათ შორის 2 ძირითადი ქუჩის საფეხმავლო მონაკვეთად მოწყობას. ქუჩები სრულად მოპირკეთდა, შეიცვალა განათება, დაირგო მრავალწლოვანი ხე-მცენარეები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის განათებები, მოეწყო ახალი სატრანსპორტო კვანძები, ადაპტირებისა და რეკრეაციული მოთხოვნების დაცვით. სივრცეში განთავსდა მხატვრული სცენა და გამოფენისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. განხორციელდა წვდომის სისტემების მონტაჟი საფეხმავლო მონაკვეთების იზოლირებისთვის. კეთილმოწყობის კომპონენტის ჯამური ღირებულება, დაახლოებით, 15 მლნ ლარია...

გუშინ საღამოს ორბელიანის მოედანზე დიდი სახალხო სეირნობა და გალა-კონცერტი გაიმართა.

ვალებში ჩახრჩობა ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრი ყოფილა!

2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის ვალმა მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით 42,2 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, საგარეო ვალმა 34,2 პროცენტი, — ამის შესახებ აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის წლიურ მოხსენებაში, რომელიც პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე წარედგინა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი მთლიანი მთავრობის ვალის 81 პროცენტს შეადგენს.

„ამ რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორი-პარტნიორებისგან პრიორიტეტული პროექტების დაფინანსებისთვის. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის შედეგებით, მთავრობის ვალის პორტფელი საშუალოვადიან პერიოდში ხელსაყრელ ფინანსურ პარამეტრებს ინარჩუნებს“, — ნათქვამია პრემიერის მოხსენებაში.

C ჰეპატიტის სკრინინგის არეალი გაფართოვდება!

2018 წლის სექტემბრიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, C ჰეპატიტზე 323 675 პირი შემოწმდა, რომელთაგან დადებითი 16 100 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, — ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წლიურ მოხსენებაში, რომელიც პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე წარედგინა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, სკრინინგი ჩატარებული აქვს 1 635 737 პირს, მათ შორის გამოვლენილია 132 048 დადებითი შემთხვევა.

„წლის განმავლობაში C ჰეპატიტის სკრინინგის არეალის გაფართოება იგეგმება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფინანსებული პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული ტანდემ-ტესტირების პროექტების ფარგლებში, რაც მოქალაქეებს დამატებით გაუადვილებთ აღნიშნული მომსახურების მიღების შესაძლებლობას“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 40 მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება

აღნიშნული პროგრამის თაობაზე საუბარია პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის პირველ წლიურ მოხსენებაში, რომელიც პარლამენტის ბიუროს გუშინ წარედგინა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ 2019 წელს განახლდა, რომელზეც დაგეგმილია 40 მილიონი ლარის ღირებულების 4 833 მცირებიუჯეტიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მთავრობა განმარტავს, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობის უშუალო ჩართულობით შეირჩა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია დეცენტრალიზაციის პროცესში.

ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა და ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა

2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში 33,6 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 87 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 16%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე:

აშშ — 126% (322835 ბოთლი); ჩინეთი — 27% (2972733); პოლონეთი — 18% (1540182); საფრანგეთი — 91% (46254); ისრაელი — 72% (131184); ლიეტუვა — 57% (270564); ბელარუსი — 47% (680906); ესტონეთი — 33% (287582); ნიდერლანდები — 27% (42380); კანადა — 26% (76860); მონღოლეთი — 22% (106452); გერმანია — 9% (274721); რუსეთი — 5% (21372581).

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი (21372581), უკრაინა (3080562), ჩინეთი (2972733), პოლონეთი (1540182) და ყაზახეთი (1223256). ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ — 6047911 ბოთლი (ზრდა 6%), „მუკუზანი“ — 1957553 (ზრდა 20%), „წინანდალი“ — 1509961 (ზრდა 10%), ახაშენი — 638878 (0%), „ხვანჭკარა“ — 402802 (ზრდა 43%) და ა.შ.

წლის დასაწყისში, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 203-მა კომპანიამ განახორციელა.

კოლოების საწინააღმდეგო წამლობა - კახეთის რეგიონში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კახეთის რეგიონში — სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანების — კოლოების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები დაიწყო. ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დასახლებული პუნქტები საღამოს საათებში თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდება, ხოლო წყალსატევები და დაჭაობებული ადგილები (მწერების კვერცხდების ადგილები) ბიოლოგიური პრეპარატით, რომელიც უსაფრთხოა ადამიანებისთვის, ცხოველებისთვის, თევზებისთვის და გარემოსათვის. სულ 2000 ჰექტარზე მეტი ფართობი დამუშავდება. დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოსახლეობა წინასწარ იქნება ინფორმირებული.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში კოლხური ბზა გადარჩება!

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი არჩილ ნიკოლეიშვილი **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც ნაქერალას უღელტეხილზე კოლხური ბზის კორომების შეწამვლის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.**

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტო სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ინვაზიური მავნებლის, ბზის ალურას (Cydalima perspectalis) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს „კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში 2016 წლიდან ახორციელებს. მათივე ცნობით, კოლხური ბზის დაზიანებული კორომები ბიოლოგიური პრეპარატით მუშავდებოდა იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონებში, სულ — 550 ჰა ფართობზე. მავნებლის წინააღმდეგ ასევე გამოყენებული იყო ფერომონიანი მწერსაჭერები.

მიმდინარე წელს სფეროს ექსპერტებმა, სამეცნიერო წრეებმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აქცენტი გაკეთდეს საკონსერვაციო ქმედებებზე, გამოიყოს სანიმუშო ფართობები და მოხდეს მათი ქიმიური პრეპარატით დამუშავება. სანიმუშო ფართობად ნაქერალას უღელტეხილზე არსებული კოლხური ბზის ბუნებრივი წარმოშობის 20-ჰექტრიანი კორომი შეირჩა, რომელიც 2019 წელს 3-ჯერ დამუშავდება, ხოლო, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებულ ბზის კორომებში ბრძოლისა და მონიტორინგის ღონისძიებები ფერომონიანი მწერსაჭერებით გაგრძელდება. მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების გარდა, ეროვნული სატყეო სააგენტო კოლხური ბზის დაკალმებასაც ახორციელებს, მისი გამრავლებისა და ბუნებაში დაბრუნების მიზნით.

რუსთავში ახალი გაზგამანაწილებელი სადგური შენდება

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია რუსთავში გაზგამანაწილებელ ახალ სადგურს აშენებს. კორპორაციის ცნობით, სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული იტალიური კომპანია Forain Srl ასრულებს.

ახალი სადგური ქალაქ რუსთავის მოსახლეობისა და იქ არსებული სხვა მსხვილი მომხმარებლებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების, უწყვეტობისა და საიმედოობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

რუსთავის ახალი გაზგამანაწილებელი სადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გაუმჯობესდება გაზის განაწილების, ფილტრაციისა და რედუქცირების საკითხებიც. რუსთავში გაზგამანაწილებელი ახალი სადგურის მშენებლობა მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2019 წლის ბოლოს დასრულდება.

დავით სარალიძის ერთი მკვლელი დადგენილია!

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილებები შეიტანა და არასრულწლოვან დავით სარალიძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში გ.ჯ. დამნაშავედ ცნო. რაც შეეხება გ.ბ-ს, მის მიმართ ბრალდების საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ის დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ უდანაშაულოდ ცნო. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლევან დადუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით და დამნაშავედ ცნო გ.ბ.

„არასრულწლოვან დავით სარალიძის მკვლელობა ჩაიდინა გ.ჯ-მ ჯგუფურად დაუდგენელ სხვა პირთან ერთად. გ.ჯ-ს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა 11 წლითა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა.

შს მინისტრის მოადგილე განმარტავს...

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

ბორცვაძის თქმით, შსს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს გაეცნობა და დანაშაულში სხვა პირთა თანამონაწილეობაზე მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებს.

„აუცილებლად ჩატარდება დღევანდელი გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში არსებული გარემოებების ირგვლივ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და აუცილებლად ვიმსჯელებთ შესაძლო სხვა პირთა თანამონაწილეობაზე ამ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში. კონკრეტული პირების და სახელებისა და გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებთ მანამ, სანამ არ გავეცნობით სააპელაციო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას“, — აღნიშნა ვლადიმერ ბორცვაძემ.

ესეც ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა!

„მოვუყვები ყველას, რა თაღლითობებია ამ ქვეყანაში“...

უცხოელი ტურისტების მიმართ თაღლითობის მორიგ ფაქტზე წერს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი კახა ჯანაშვილი. ისტორია თბილისის ერთ-ერთ ბარში მის ებრაელ მეგობარს შეემთხვა, რომელსაც ბარში 974-ლარიანი ჩეკი გამოუწერს. ებრაელი ინვესტორი საქართველოში ბიზნეს წარმოებაზე უარს ამბობს და ქვეყნიდან მიდის.

„14 მაისს ძველი თბილისის დათვალიერების შემდგომ ჩემს ებრაელ სტუმრებს დავცილდი 18:00 საათზე. სამი საათი იყო გასული, რომ დამიკავშირდა ბატონი შაი ტელეფონით და მომიყვა შემდეგი ამბავი. გოგონა, სახელად სოფია, გაიცნო თავის სასტუმროსთან (შარდენ ვილასთან) ძველ თბილისში. იმ საღამოს შეხვდა ბატონ შაის სოფია. სოფიამ ბატონი შაი წაიყვანა COCKTAIL BAR & CHILLIM LOUNGE შარდენზე, ბამბის რიგს რომ ეძახიან. გოგომ თვითონ შეუკვეთა ჩილიმი, ბლექ-ლებელი. მინდა გითხრათ, რომ მენიუ არ წარუდგენიათ ბარში შაისთვის. ამ გოგომ ზუსტად იცოდა, რა უნდა შეეკვეთა. დაახლოებით ნახევარ საათში სოფიამ ბატონ შაის უთხრა სასტუმროში ავალ და მალე დავბრუნდებიო.



აი, ამის შემდეგ იწყება მთელი სპექტაკლი. ოფიციანტი მიდის და მიაქვს ქვითარი, სადაც გადასახდელი თანხა შეადგენდს 974 ლარს, რაზეც ბატონმა შაიმ პროტესტი გამოხატა. ამ დროს იქ ჩნდება მენეჯერი, ოფიციანტები და დაცვის თანამშრომლები, რომლებიც გაეცნენ შაის, როგორც პოლიციელები. ამ დროს დამიკავშირდა ბატონი შაი ტელეფონით. მომიყვა ამ სამარცხვინო ამბის შესახებ და გამასაუბრა მენეჯერი — ვინმე გიორგი, რომელსაც ავუხსენი, რომ ეს ყველაფერი სამარცხვინო იყო მათგან და ავუხსენი, რომ ვარ ჟურნალისტი. ვუთხარი, რომ ვიცი და მსმენია ამგვარი თაღლითობის შესახებ. მოვთხოვე, რეალურად რაც ეკუთვნის შემკვეთს, ის თანხა გადაახდევინე-მეთქი. ამის შემდგომ იქ კიდევ დაიძაბა სიტუაცია. მე მოვთხოვე ბატონ შაის, რომ დაერეკა პოლიციაში, რაზეც პასუხი გამცა, რომ პოლიცია აქ არისო. მე ამასობაში მანქანით მივემართებოდი ჩემი სტუმრების დასახმარებლად. დაახლოებით 35 წუთი დამჭირდა ადგილზე მისასვლელად და როცა მივედი ისინი სასტუმროს წინ დამხვდნენ. აღშფოთებას ვერ მალავდნენ. გადაუხდიათ ის თანხა და წამოსულან. მინდა გითხრათ, რომ სალარო ქვითარიც კი არ ამოურტყამთ მათთვის ამ ბარში!

მოკლედ გეტყვით, ამ სირცხვილმა და უმსგავსობამ საქართველოს დააკარგვინა სერიოზული ინვესტორი, ბატონი შაის სახით.

მისი აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ შეეშინდა: რა ბიზნესი უნდა გავაკეთო ამ ქვეყანაშიო?! ეს რა უბედურებააო?! ყველას მოვუყვებიო, როგორი თაღლითობებია ამ ქვეყანაშიო და ეჭვი არ მეპარება, ამ ქვეყანაში ტურისტულად წამოსვლაზეც ბევრი ებრაელი იტყვის უარსო! მეორე დღეს ბიზნეს შეხვედრებზე უარი თქვა და გაფრინდა თავის სამშობლოში!

თუ ჩვენ ასე გავაგრძელებთ, ტურისტები მართლა აღარ ჩამოვლენ საქართველოში. ასეთი მომრავლებული თაღლითობებით გვინდა შორს წასვლა? ასე გვინდა ტურისტების მოზიდვა?

რატომ უნდა ხდებოდეს მსგავსი უამრავი შემთხვევა ქვეყანაში? ქვეყანაში, სადაც არ არის ნავთობი, გაზი და ქვეყნის ბიუჯეტი მხოლოდ ტურისტულ პოტენციალზეა გათვლილი? — წერს კახა ჯანაშვილი.

ტექდათვალიერების გამო მანქანის ნაწილებიც და მომსახურებაც გაძვირდა

ტექდათვალიერების ამოქმედებამ ავტონაწილებისა და ავტოსერვისის ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. მძღოლებს ხარჯი მოემატათ და სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, თავი აარიდონ გასავალს.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ მიერ ჩატარებული პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კვლევის ფარგლებში ტექნიკური ინსპექტირების გავლის პროცესში გარკვეული მანიპულაციები და კორუფციის რისკები გამოიკვეთა. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულ მანიპულაციას წარმოადგენს გამონაბოლქვის ტესტის გავლის მიზნით მაღალი ხარისხის ბენზინის ერთჯერადად მოხმარება. ასევე ხშირია ინსპექტირების გასავლელად ავტონაწილებისა და აღჭურვილობის (საბურავი, ფარი, ცეცხლმაქრი, სააფთიაქო ყუთი და სხვ.) თხოვება-ქირაობის ფაქტებიც.

ავტომფლობელებს მანიპულაციების გამოყენებას კიდევ უფრო მეტად აიძულებს რეფორმის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად გაზრდილი ავტონაწილების და ავტოსერვისის ფასები.

„ინსპექტირების გავლის შემდგომ დახარვეზებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, 30 კალენდარულ დღეში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზები და გამოცხადდეს განმეორებით ინსპექტირებაზე. ავტონაწილების შეკეთება და მოპოვება რთული არ არის და შესაძლებელია როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ინტერნეტის მეშვეობით. თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემაა ფასი და ხარისხი.

ქვეყნის დაბალი ეკონომიკური დონიდან გამომდინარე, მომხმარებლების რეფორმის მიმართ უკმაყოფილება სწორედ ამ ფაქტორს უკავშირდებოდა. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ამოქმედების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტონაწილებისა და ავტოსერვისის ფასები, რის გამოც მომხმარებლები კიდევ უფრო მეტად იკავებენ თავს და ვერ ახერხებენ ხარისხიანი ავტონაწილების შეძენას. ეს გამოწვევა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება 2020 წელს სატრანსპორტო საშუალების კატალიზური გარდამქმნელით აღჭურვის ვალდებულების ამოქმედების შემდეგ“, — აღნიშნულია ანგარიშში.

სავარაუდოა, რომ სამომავლოდ სათადარიგო ნაწილებზე ფასი კიდევ უფრო მოიმატებს, რადგან მოთხოვნა გაიზრდება. ეს გამომდინარე იქნება იმ ახალი ცვლილებიდან, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს.

შს სამინისტროს კვლევისა და რეფორმების სამმართველოს ხელმძღვანელის **ბექა ლილუაშვილის** ინფორმაციით, ავტომობილი, რომელსაც ტექინსპექტირება გავლილი არ ექნება, შესაძლოა, 30 დღის ნაცვლად 3 დღეში ერთხელ დაჯარიმდეს.

„დღესდღეობით ჩვენ ვაჯარიმებთ 30 დღეში ერთხელ და ეს იყო შეთანხმებული პოლიტიკის მიმღებთან — ეკონომიკის სამინისტროსთან, რადგანაც კანონში არ არის დაკონკრეტებული ვადა. ახლა კი საგაზაფხულო სესიის ბოლოს პარლამენტს შევთავაზებთ პაკეტს, სადაც დაზუსტდება, რომ 72 საათში ერთხელ მოხდება ადმინისტრირება“, — განაცხადა ლილუაშვილმა.

ამის მიზეზი ისაა, რომ მძღოლებს ხშირ შემთხვევაში ურჩევნიათ გარკვეული პერიოდულობით ჯარიმა გადაიხადონ, ვიდრე ავტომობილი მოაწესრიგონ, იმდენად ძვირი უჯდებათ მისი წესრიგში მოყვანა. 3 დღეში ერთხელ ჯარიმის გადახდის სურვილი კი არავის ექნება და შესაბამისად, ავტომფლობელებს საკუთარი სატრანსპორტო საშუალების შეკეთება მოუწევთ. ეს კი სათადარიგო ნაწილებზე მოთხოვნას გაზრდის.

პროექტი პარლამენტში გადაიგზავნება, სადაც გადაწყდება, არის თუ არა საჭირო მსგავსი მკაცრი მიდგომა იმ პირების მიმართ, რომლებსაც ტექინსპექტირება გავლილი არა აქვთ.

ეკა ბაქრაძე

ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი დევიდ კრამერი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში საქართველოსთვის უმთავრეს გამოწვევებად თვლის: პოლარიზაციას, მმართველი ძალის მიერ ძალაუფლებას ჩაჭიდებას მხოლოდ მისი შენარჩუნებისთვის, პოლიტიკური ოპონენტების შეუთანხმებლობას საერთო-საქვეყნო ინტერესებზე. სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლაპარაკობს აგრეთვე უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებზე, რუსეთთან გასამკლავებლად საქართველო-უკრაინის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ამ ორი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის საკითხის გააქტუალურების საჭიროებაზე. თბილისში ბოლო ვიზიტისას დევიდ კრამერმა მონაწილეობა მიიღო „დემოკრატიის ფრონტისპირა ცენტრის“ დაფუძნებაში. სწორედ ამ ცენტრზე საუბრით იწყება მასთან ინტერვიუ:

დევიდ კრამერი:

მეტი რეფორმები, მეტი უსაფრთხოება, მეტი ინტეგრაცია, ქართველებო!

„ნატომ უნდა დაარწმუნოს საქართველო და უკრაინა 11 წლის წინანდელი დაპირების რეალურობაში“

„რადიო თავისუფლება“: „დემოკრატიის ფრონტისპირა ცენტრი“ – რა არის ეს, რა სიახლეა? ეს იქნება საქართველოსთვის, რეგიონისთვის, თუ?..

დევიდ კრამერი: ეს არის ნინო ევგენიძის იდეა. ის „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს“ ხელმძღვანელობს. მან მე და ფრენკ ფუკუიამას, სტენფორდის უნივერსიტეტიდან გვთხოვა ჩავრთულიყავით ამ საქმეში. იდეა გულისხმობს აქ, თბილისში ჰაბის შექმნას რეგიონისთვის.

– რომელიც მოიცავს...

– რომელიც მოიცავს: რა თქმა უნდა, საქართველოს, აგრეთვე მთელ სამხრეთ კავკასიას, ადამიანებს რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, მოლდავეთიდან. იდეა არის ის, რომ შეიქმნას ჰაბი, ცენტრი დემოკრატიის აქტივისტებისთვის, ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, ჟურნალისტებისთვის და ყველასთვის, ვინც მოწადინებულია, ხელი შეუწყოს დემოკრატიას; შეიძლება, ამის გამო თავდასხმის ობიექტებიც იყვნენ და სჭირდებოდეთ ადგილი, სადაც რეპრესიულ ვითარებას გაერიდებოდნენ. ეს იქნება აგრეთვე ადგილი, სადაც მოხდება არსებული ინფორმაციის ანალიზი, სადაც ადამიანები ერთმანეთისგან ისწავლიან, რა უკეთესად მუშაობს და შეუწყობდნენ ხელს დემოკრატიის პრინციპებისა და თავისუფლების განვითარებას. ვფიქრობ, საქართველო საუკეთესო ადგილია ასეთი ჰაბისთვის.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– გულწრფელად რომ გითხრათ, ეს არის დემოკრატიის კუნძული ავტორიტარული რეჟიმების ზღვაში. გასული წლის რევოლუციის შემდეგ, სომხეთი იძლევა გარკვეულ იმედს და აჩვენებს პროგრესს. რეგიონის სხვა ქვეყნებს თუ შეხედავთ, სინამდვილეში დაინახავთ ავტორიტარულ ტალღას, რომელიც ცდილობს დემოკრატიის ხელყოფას ყველგან, მათ შორის – საქართველოშიც. ასე რომ, არსებობს საჭიროება იმისა, რომ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან დემოკრატიისთვის, ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ჰქონდეთ ადგილი, სადაც ისწავლიან ერთმანეთისგან, გაცვლიან გამოცდილებას, ზოგჯერ კი, როცა ეს დასჭირდებათ, გამოიყენებენ მას იმისათვის, რომ გაერიდონ ამა თუ იმ ვითარებას. ეს ცენტრი ასევე გათვალისწინებულია ჟურნალისტების, იურისტებისა და სხვების მხარდასაჭერად. ეს დიდებული ინიციატივაა. ვამაყობ მასში მონაწილეობით და მადლიერი ვარ ნინოსი ამ იდეისთვის.

– როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ჩამოვიდეს, მაგალითად, უკრაინელი აქტივისტი, პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი საქართველოში რაიმე საკითხზე სამსჯელოდ?

– მქონდა განცდა გარკვეული ხნის განმავლობაში და განსაკუთრებით 2014 წლის შემდეგ, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რომ უკრაინამ და საქართველომ მეტი უნდა გააკეთონ ერთად, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ათჯერ დიდია საქართველოზე, ამ ორ ქვეყანას აქვს მსგავსი გამოცდილება ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის. მთელი იდეა იმაშია, რომ რუსეთი და პუტინი ცდილობენ, საფრთხე შეუქმნან დემოკრატიის ბიძგს აქ, საქართველოში და აგრეთვე უკრაინაში. პუტინს არ უნდა, რომ ქართველები ან უკრაინელები მოითხოვდნენ მეტს თავიანთი მთავრობებისგან, მას არ უნდა საქართველო და უკრაინა წარმატებულ დემოკრატიებად იხილოს, რომლებიც ქმნიან იმ სისტემის ალტერნატივას, რაც პუტინს აქვს რუსეთში. ასე რომ, უკრაინელები აქ უნდა ჩამოვიდნენ, ქართველები უკრაინაში უნდა წავიდნენ. აქ კი იქნება ცენტრი, რომელიც იქნება სახლი იმისათვის, რომ აქ ჩამოვიდნენ უკრაინელები და სხვები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, აჩვენონ – რამ იმუშავა მათ ქვეყნებში და რამ – არა, იმისათვის, რომ ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, მოლდაველებმა ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებიდან. ასე რომ, არსებობს გამაერთიანებელი საფუძველი – დემოკრატიისთვის ბრძოლა ამ ქვეყნებში, რომლებიც მუდმივ ტრანზიციას განიცდიან საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობიდან, რომლისგანაც, ჩემი აზრით, ეს ქვეყნები სრულად არ გათავისუფლებულან,

ზელენსკის წარმატება უკრაინის ინტერესებშია. ზელენსკის წარმატება საქართველოს ინტერესებშია. ზელენსკის წარმატება აშშ-ის ინტერესებშია. და, საბოლოოდ, ერთ დღესაც, ზელენსკის წარმატება იქნება რუსეთის ინტერესებშიც.



რასაც ემატება პუტინის რეჟიმის მცდელობა, ძირი გამოუთხაროს მიღწევებს საქართველოსა და უკრაინაში. ახლახან ვიყავი უკრაინაში და...

– მიხარია, რომ უკრაინით გააგრძელეთ. ჩემი შემდეგი შეკითხვა სწორედ უკრაინაზე უნდა ყოფილიყო.

– დიახ, მე იქ ვიყავი არჩევნების მეორე ტურზე დამკვირვებლად, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ეგიდით. დაახლოებით ათი დღის წინათ ვიყავი იქ და ვფიქრობ, ზელენსკის არჩევის გამო იქ არის იმედის განცდა. ყველას მისთვის არ მიუცია ხმა, მაგრამ მას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 73%-მა. ასე რომ, მას ნამდვილად აქვს მანდატი. ეს იყო აგრეთვე ისტებლიშმენტის წინააღმდეგ მიცემული ხმები. ზელენსკი გამოიცდება პუტინის მიერ. ის გამოიცდება ეკონომიკურ ფრონტზე. უკრაინელებს სურთ, იხილონ ეკონომიკის განვითარება. მსოფლიო ბანკის სტანდარტებით, უკრაინა ყველაზე ღარიბი ქვეყანაა ევროპაში, მან ამ ადგილზე მოლდავეთი ჩაანაცვლა.

– სურთ კორუფციის დამარცხება?

– მათ ნამდვილად სურთ კორუფციის დამარცხება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. ვფიქრობ, პრეზიდენტმა პოროშენკომ მიაღწია დიდ პროგრესს უკრაინაში თავისი ხუთწლიანი ვადის განმავლობაში, მაგრამ კორუფციის დასაძლევად მას არ გაუკეთებია საკმარისთან მიახლოებულიც კი. ვფიქრობ, ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ის დამარცხდა არჩევნებში უზარმაზარი სხვაობით. პოროშენკოს საქებრად უნდა ითქვას, რომ მან აღიარა შედეგები, მიიღო მარცხი, თავაზიანად გადასცა ძალაუფლება ზელენსკის. ახლა ზელენსკიმ გამოაცხადა რადის ვადამდელი არჩევნები. უკრაინა მორიგ არჩევნებზე მიდის 21 ივლისს, ამჯერად – საპარლამენტოზე.

– ბრძანეთ, რომ არჩევნების შემდეგ უკრაინაში იმედის განცდაა. ბევრისგან მოვისმინე და წავიკითხე კიდეც, რომ მოეწონათ ზელენსკის საინაუგურაციო სიტყვა. თქვენ თუ ხართ ოპტიმისტურად განწყობილი? გამოსაცდელი დრო ახსენეთ. რამდენი დრო შეიძლება ჩაითვალოს გამოსაცდელად?

– გეთანხმებით, რომ მისი საინაუგურაციო სიტყვა ძალიან კარგი იყო. მას ჰქონდა ყველა სწორი გზავნილი. იყო პოპულიზმის რაღაც ელემენტები შერწყმული ლიდერის პასუხისმგებლობების გაცნობიერებასთან. ვფიქრობ, ზუსტი იყო მისი პასუხი პრეზიდენტ პუტინის პასპორტიზაციის მცდელობაზე, რაც საქართველომაც გამოსცადა. მან ძალიან კარგად უპასუხა მის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ვფიქრობ, იქ არის იმედის განცდა. ვფიქრობ, საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლობაა ითანამშრომლოს მასთან, მიიღოს ის, დაეხმაროს მას წარმატების მიღწევაში. ზელენსკის წარმატება უკრაინის ინტერესებშია. ზელენსკის წარმატება საქართველოს ინტერესებშია. ზელენსკის წარმატება აშშ-ის ინტერესებშია. და, საბოლოოდ, ერთ დღესაც, ზელენსკის წარმატება იქნება რუსეთის ინტერესებშიც.

– რისი გაკეთება შეუძლიათ საქართველოსა და უკრაინას ერთად რუსეთის წინააღმდეგ?

– უკრაინა და საქართველო არიან ქვეყნები, რომლებმაც განიცადეს რუსეთის აგრესია და თავდასხმა, რომლებიც მუდმივად არიან რუსეთის დეზინფორმაციის სამიზნეები, სადაც რუსეთი ცდილობს გააღვივოს რეალური ვითარების მიმართ ეჭვი ქართველებისა და უკრაინელების გონებაში. ეს ორი ქვეყანა არის კრემლის კიბერთავდასხმების სამიზნე და ორივე ქვეყნის მოსახლეობა გამოხატავს ძლიერ სურვილს, იცხოვრონ უფრო თავისუფალ საზოგადოებებში, რომლებიც მეტად ინტეგრირებული იქნებიან ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში, რომლებიც თავისუფალი იქნებიან რუსეთის მძიმე ხელისგან. თუკი არ იქნება მასიური მიწისძვრა, რომელსაც ნამდვილად არავინ ისურვებდა, საქართველო და რუსეთი ყოველთვის ერთმანეთის მოსაზღვრე ქვეყნები იქნებიან, თუმცა საქართველოს სურს უფრო ძლიერი კავშირები ევროკავშირთან, ნატოსთან. ბოლო გამოკითხვებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად იმედგაცრუებისა ნატოსკენ მიმავალ გზაზე მწირი პროგრესის გამო, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების დაპირება 11 წლის წინათ გაიცა, მაინც ძლიერი მხარდაჭერაა – მგონი, 78%, რაც ბოლო გამოკითხვებში ვნახე.

ნატომ უნდა დაარწმუნოს საქართველო და უკრაინა 11 წლის წინანდელი დაპირების რეალურობაში.

იხ. 8 გვ.

სტატისტიკის უჩვეულო ხიბლი და ძალა

... და 300 თარგმანს, რომელთა რაოდენობაც ასე თვალდათვალ გაიზრდებოდა ყოველწლიურად:

თუ ამ ცენტრის დაარსებამდე მეტად მოკრძალებულად გამოიყურებოდა თარგმნის პროცესი, 2010 წელს – 2 წიგნი, 2011-ში – 3, 2012-ში – 5 და 2013-ში – 14.

2014 წლიდან დაიწყებოდა და რა დაიწყებოდა, იმჟამად უკვე 30 წიგნი რომ გააღწევდა ქართული ენობრივი სივრციდან.

გაოცებით გაოცდებოდნენ, **ერნესტ ჰემინგუეის** იმ შეხედულებას რომ მოისმენდნენ:

საუკეთესო რომანი დოკუმენტური ცნობები თუ სტატისტიკური ცხრილებიაო.

არა ბიძგად რომანისთვის, არა ზოგადკომპოზიციურ ქარგად, არა ჩანართებად, არამედ... სწორედაც უშუალო სახით, ცნობებისა და ცხრილების იქით რომ არც არაფერი უნდა ყოფილიყო.

ეგებ ხუმრობდა საძვეყნოდ აღიარებული და ქება-დიდებით გაბეზრებული მწერალი?

ხუმრობა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და არცა ცდილობდა... თუმც ეგებ ამიტომაც გამოსვლოდა ეს გამონაკლისი მცდელობა ასეთი ბლაგვი?

თურმე ხუმრობა არც ამჯერად მოენდომებინა.

უბრალოდ მართლაც მიიჩნევდა, რომ:

მხატვრული საბურველი რაღაცას აკლებდა გარემომცველი სინამდვილის გადატანას ფურცლებზე, ამ სინამდვილის სიღრმეებში ჩასახედად კი საუკეთესო საშუალება სწორედ დოკუმენტური ცნობები თუ სტატისტიკური ცხრილები გახლდათ – ცხადია: გაუყალბებელი.

და ერთი ასეთი რომანი რომ დაეწერა, თავის მწერლურ ვალს კიდეც მოხდილად მიიჩნევდა; ერთი ასეთი რომანი – დოკუმენტალიზმისა და სტატისტიკის სრულყოფილი ნიმუში.

ვერც თვითონ მოაბამდა თავს, არც სხვანი გაირჯებოდნენ საამისოდ და... ის ფრაზა დარჩებოდა თავისებურ პარადოქსად, მაინც ხუმრობად, თუნდ ბლაგვად, და მაინც დიდებით მოყირჭებული მწერლის ცინიკურ ჩაღიმებად მისი სავარძლის მოსურნეთა მიმართ.

არადა, მართლაც არაფერ შუაშია არც ხუმრობა და – მით უმეტეს – არც ცინიკური გადაკვრა, უბრალოდ ცოტა უფრო მძაფრად და ცოტა უფრო უკიდურესი ფორმით გამოითქვა XX საუკუნის რომანის ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი – დოკუმენტური ფონის გამკვეთრების აუცილებლობა, მხატვრული საბურველი მხოლოდღა ფარულად რომ უნდა იგრძნობოდეს.

ამასთან:

დააფასებდა ჰემინგუეი დოკუმენტებისა თუ სტატისტიკის შემგროვებელთა გარჯას, ამ ყაიდის გამოცემათა მნიშვნელობას, ასერიგად რომ აამაღლებდა, რომანადაც კი მოიხსენიებდა.

კარგი იქნება, თუ ყურად ვიღებთ ამ რჩევასა თუ შეგონებას, ამ გონებამახვილურ და ღრმააზროვან თვალსაზრისს.

თუმც ჰემინგუეის დიდება რამდენადმე გაფერმკრთალდა, მაგრამ ისეც არა, კვლავაც რომ არ დაისაჭიროებდეს კაცობრიობა.

ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ამ საგულისხმო მოსაზრების გათვალისწინების აუცილებლობას: მწერალთგანაც და მკითხველთაგანაც.

* * *

და... ჰემინგუეის აჩრდილიც უნდა აბორიალებულიყო ჩემს წარმოსახვაში, როდესაც ვუსმენდი **მედეა მეტრეველის** ხუთწლიან ანგარიშს 2014-19 წლებისას, თუ რა საქმეები აღესრულებინა ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს არც თუ ბევრი, ოღონდ შინაგანი სისავსით გაჯერებული წლების განმავლობაში.

იკმარებდა მარტოდენ დოკუმენტურ და სტატისტიკურ მონაცემებს, რაც თავისთავად იღაღადებდა ამ საქმეთა – უფრო კი ღვაწლის – მნიშვნელობაზე.

ქართული ლიტერატურა უცხოენოვან თარგმანებში:

მოიცავდა 30 ენას:

ალბანურს, ამჰარულს, არაბულს, სომხურს, ჩეხურს, ბელორუსულს, ბულგარულს, ჩინურს, ხორვატიულს, ინგლისურს, ჰოლანდიურს, ფრანგულს, გერმანულს, ბერძნულს, ებრაულს, აზერბაიჯანულს, უნგრულს, ივრითს, იტალიურს, კორეულს, უკრაინულს, ლიტვურს, მაკედონიურს, პოლონურს, რუსულს, სერბიულს, სლოვაკურს, ესპანურს, შვედურსა თუ თურქულს.

და 300 თარგმანს, რომელთა რაოდენობაც ასე თვალდათვალ გაიზრდებოდა ყოველწლიურად:

თუ ამ ცენტრის დაარსებამდე მეტად მოკრძალებულად გამოიყურებოდა თარგმნის პროცესი, 2010 წელს – 2 წიგნი, 2011-ში – 3, 2012-ში – 5 და 2013-ში – 14.

2014 წლიდან დაიწყებოდა და რა დაიწყებოდა, იმჟამად უკვე 30 წიგნი რომ გააღწევდა ქართული ენობრივი სივრციდან.

2015 წელს – 44;
2016 წელს – 37;
2017 წელს – 41;
2018 წელს – 124.

ის 300 წიგნი მოიცავდა:

250 ქართველ ავტორსა და 155 უცხოელ გამომცემელს.

უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში აისახებოდა 58 წიგნად:

2015 წელს – 14;
2016 წელს – 11;
2017 წელს – 9;
2018 წელს – 10;
2019 წელს – 14.

პროფესიული პროგრამა რომ შემუშავდებოდა გამომცემლებისათვის, მომცველი:

პარიზის, მიუნჰენის, პეკინის, კიევის, ლვოვისა და თბილისის, პროგრამა იქნებოდა 8 და ჩაერთვებოდა 70 გამომცემელი.

ასეთივე პროგრამა რომ შემუშავდებოდა მთარგმნელებისათვის, მომცველი:

ფრანკფურტის, შტრალენის, ლორენისა და თბილისის, პროგრამა იქნებოდა 8 და ჩაერთვებოდა 70 მთარგმნელი.

ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგებში მონაწილეობას მიიღებდა 70 უცხოელი გამომცემელი.

სარეზიდენციო სტიპენდიების დასანიშნად მთარგმნელებისათვის შემუშავდებოდა 4 პროგრამა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2018 წელს, საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით რომ იქნებოდა მიწვეული:

მონაწილეობას მიიღებდა 89 ავტორი.

საერთოდ კი გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის 50 ქალაქში გაიმართებოდა 600 ღონისძიება და 20 ფესტივალი.

გამოხმაურებანი საგაზეთო და ონლაინ გამოცემებში:

7285.

საერთაშორისო წვდომა:

1 526 562 017.

გამოხმაურების საერთო ღირებულება:

32 472 210 ევრო.

ქართველი ავტორები საზღვარგარეთ:

40 მწერლის 170 ლიტერატურული ღონისძიება.

უცხოელი ავტორები საქართველოში:

ბორის აკუნინი (რუსეთი) – 2016 წელს;

ტილმან შპრეკელსენი და კატ მენშიკი (გერმანია) – 2017 წელს;

მიშელ უელბეკი (საფრანგეთი) – 2018 წელს;

ერლენდ ლუ (ნორვეგია) – 2018 წელს.

წელს გადაწყვეტილია ვარიო ვარგას ლიოსას (პერუ) სტუმრობა.

ლიტერატურულ ღონისძიებათაგან აღინიშნა:

ესპანურ-ქართული ლიტერატურული კვირეული – 2019 წელი.

ცალკე კიდევ ილუსტრატორთა პროექტები:

გამოფენები, ფესტივალები, ვორქშოპები, სტიპენდიები.

30 ილუსტრატორი რომ იქნებოდა მონაწილე.

და ცალკე კიდევ კონკურსები:

ქართული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში;

უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში;

საცდელი თარგმანები;

წიგნის აკადემია;

გამომცემლების პროფესიული გადამზადება;

ილუსტრატორთა პროფესიული პროგრამები...

ცალკე კიდევ ელექტრონული ბაზების მომზადება.

ცალკე კიდევ კატალოგების...

ცალკე კიდევ... კიდევ და კიდევ...

* * *

მოისმენდი ამ ყოველივეს და ერთხელ კიდევ მიხვდებოდი და ირწმუნებდი, რამხელა ძალა და მნიშვნელობა ჰქონია სტატისტიკურ მონაცემებს, და უჩვეულო მადლიც, მოუწყინარს რომ ხდის ჩამონათვალს, ენთუზიაზმითა და იმედოვნებით აღვსილს, ხვალ და ზეგ ამ გუნდის – მედეა მეტრეველის მიერ პროფესიული ალღოთი თავმოყრილის – ენერგიული და თავდაუზოგავი გარჯით კიდევ რამდენი სასიკეთო საქმე რომ უნდა აღსრულდეს... და შეივსოს და შეივსოს ამ გარჯის ამრეკლავი დოკუმენტური ცნობები, სტატისტიკური ცხრილები, უფრო და უფრო შთამბეჭდავ პანორამად გადაჭიმული.

* * *

– ახ, ერთი ასეთი რომანი დამაწერინა და მეტი არც მინდაო, – უსათუოდ გაიფიქრებდა და ეგებ წამოეძახა კიდეც ერნესტ ჰემინგუეის, იმ დღეს ჩვენ გვერდით ისიც რომ მჯდარიყო.

რუსტომ ჩხეიძე

... მოისმენდი ამ ყოველივეს და ერთხელ კიდევ მიხვდებოდი და ირწმუნებდი, რამხელა ძალა და მნიშვნელობა ჰქონია სტატისტიკურ მონაცემებს, და უჩვეულო მადლიც, მოუწყინარს რომ ხდის ჩამონათვალს, ენთუზიაზმითა და იმედოვნებით აღვსილს, ხვალ და ზეგ ამ გუნდის – მედეა მეტრეველის მიერ პროფესიული ალღოთი თავმოყრილის – ენერგიული და თავდაუზოგავი გარჯით კიდევ რამდენი სასიკეთო საქმე რომ უნდა აღსრულდეს... და შეივსოს და შეივსოს ამ გარჯის ამრეკლავი დოკუმენტური ცნობები, სტატისტიკური ცხრილები, უფრო და უფრო შთამბეჭდავ პანორამად გადაჭიმული.

„ქარიშხალი ჭიქაში“ თუ ორი მეზობელი ერის „ბრძოლა“ ქართულ პოლიგონზე?!

რა არის სადავო დავითგარეჯში?!

დავითგარეჯს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან და მიმდებარედ არსებულ კულტურულ და რელიგიური კერას ძვირფასად მიიჩნევს როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული მხარე. ას წელზე მეტია, საქართველო-აზერბაიჯანის ამ მონაკვეთზე საზღვრის გამიჯვნის საკითხი ისე ვერ მოგვარდა, რომ ორივე მხარე ამით კმაყოფილი დარჩენილიყო. „ამერიკის ხმამ“ ერთგვარი მოკვლევა ჩაატარა იმის შესახებ, თუ საიდან, რატომ და როგორ ჩნდება ამ კონკრეტულ პერიმეტრზე საზღვართან დაკავშირებული პრობლემა და რა პერსპექტივები არსებობს მისი გონივრული და ორივე სახელმწიფოსთვის სახეირო მოგვარების თვალსაზრისით.

ქართული ნარატივი

საქართველოში დღეს სადავო არავისთვისაა, რომ დავითგარეჯი ქართული ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლია. მის შემადგენლობაში, დაახლოებით 27 მონასტერია. სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას ამ ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა 13 ასურელი მამიდან ერთ-ერთმა, დავითმა, რომელსაც მოგვიანებით გარეჯელი უწოდეს. საუკუნეების განმავლობაში დავითგარეჯში სამონასტრო ცხოვრება ხან ყვაოდა, ხანაც დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, თუმცა ფაქტია, რომ ეკლესიების რაოდენობა გაიზარდა და შესაბამისად, უფრო მეტი ტერიტორია მოიცვა, ვიდრე ეს თავდაპირველად, დავითგარეჯელის მოღვაწეობის დროს გახლდათ. **საქართველოს ამ ნაწილში სამონასტრო კომპლექსი ერთიანია.**

დროთა განმავლობაში, სამლოცველოების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა არა სხვა ტოპონიმიკის ქვეშ, არამედ, როგორც დავითგარეჯის კომპლექსის ნაწილად. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მყარი არგუმენტი ქართულ ნარატივში იმის სამტკიცებლად, რომ დავითგარეჯას გაყოფა და მისი ფრაგმენტებად წარმოდგენა სხვადასხვა სახელმწიფოებში ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული. ამიტომაცაა ემოციური და მტკივნეული ყველა ქართველისთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ ერთიანი კომპლექსის ნაწილი სხვა ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული.

დავითგარეჯის აზერბაიჯანული ნარატივი

აზერბაიჯანში **მიიჩნევენ, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან მათ ტერიტორიაზე ერთი ეკლესიის არსებობაც კი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დივიდენდის მომტანია და ეს დივიდენდი ქართულ მხარესთან მიმართებით არ იგულისხმება. აზერბაიჯანული ნარატივის თანახმად, ეს ქვეყანა თავს მოიაზრებს ისტორიული კავკასიის ალბანეთის ნაწილად, რომელიც მოიცავდა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიას, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს გარკვეულ ნაწილს. საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიაში მითითებულია, რომ კავკასიის ალბანეთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნიდან არსებობდა, ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან ის უკვე ქრისტიანული სახელმწიფოა. ალბანელები, ქართველები და სომხები, ხშირად ერთ ფრონტზე იბრძოდნენ ერთიანი მტრის წინააღმდეგ.**

აზერბაიჯანული ნარატივის თანახმად, მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ისტორიული, ქრისტიანული მემკვიდრეობა, რაც მის ტერიტორიაზე არსებობდა არაბულ შემოჭრებამდე და ისლამიზაციამდე. ამბავი განსაკუთრებულ კონტექსტს იძენს სომხეთთან მიმართებით. აზერბაიჯანში მიიჩნევენ, რომ სომხურ-აზერბაიჯანული ისტორიული შუღლის იდეოლოგიური საფუძველი, სომხეთის მხრიდან, სწორედ ალბანური მემკვიდრეობის საკითხზე გადის. 1836 წელს, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გააუქმა ალბანური ეკლესია და მისი ქონება სომხურ ეკლესიას გადასცა, რითაც ალბანური კულტურის ერთგვარ, ცალსახა მემკვიდრედ სომხეთი აქცია, მისი ქრისტიანობიდან გამომდინარე. აზერბაიჯანში თვლიან, რომ ეს სომხეთის მთავარი კოზირია ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებისას და მასთან გამკლავებას კავკასიის ალბანეთთან საერთო ფესვების ძიებით ცდილობენ.

2003 წელს ოფიციალურმა ბაქომ ალბანეთის ეკლესია დააფუძნა ნიჟში, აზერბაიჯანის შუაგულში მდებარე პატარა ქრისტიანულ სოფელში, სადაც ძველი ალბანელების შთამომავლები ცხოვრობენ. ამ აქტს, ისევე როგორც დავით გარეჯის (აზერბაიჯანულად ქეშიშდაგი-ქეშიკჩიდაგი) სახელმწიფო ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალად გამოცხადებას 2007 წელს, აზერბაიჯანში აღიქვამენ როგორც ერთგვარ პასუხს, როგორც ისტორიულ არგუმენტს სომხეთთან ტერიტორიული დავის პროცესში.

დავითგარეჯის პოლიტიკური ასპექტი აზერბაიჯანის თვალთახედვით

„ამერიკის ხმა“ აზერბაიჯანში რამდენიმე პოლიტოლოგს დაუკავშირდა. ჩვენთან საუბრისას სტრატეგიული სწავლებების ცენტრის წარმომადგენელი ფუად ჩირაგოვი ამბობს, რომ სომხეთთან კონფლიქტის შემდეგ, კავკასიის ალბანეთის აზერბაიჯანული ქრისტიანული წარსული მემკვიდრეობა **განსაკუთრებით მგრძნობიარედ აღიქმება.** აზერბაიჯანს სურს, აჩვენოს მსოფლიოს, რომ ის არის ამ წარსულის გამგრძელებელი და მისი მემკვიდრეც.

„უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში განვითარებული მოვლენები დაემთხვა მზარდ ანტი-თურქულსა და ანტი-აზერბაიჯანულ პროპაგანდას. ჩვენ ვაკვირდებით ამ ნიადაგზე ფობიების სისტემურ და დაგეგმილ მცდელობებს, რაც მზარდ იმედგაცრუებას იწვევს, ასევე ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში. ჩვენ მხოლოდ კარგი ურთიერთობების განზრახვა გვაქვს საქართველოსთან და ამ ურთიერთობების ხარისხი, დიდწილად, ერთმანეთზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებ, ეს, ჩვენს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების მდგრადობის კარგი გამოცდა იქნება, რის შემდეგაც უფრო მეტად გავაცნობიერებთ ერთმანეთის მნიშვნელობასა და ღირებულებას. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არსებობენ სხვა ძალები, ვინც ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების დაზიანებით მოგებული დარჩება და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს“, — ამბობს ფუად ჩირაგოვი „ამერიკის ხმასთან.“

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, აზერბაიჯანს სახელმწიფო საზღვარი სრულყოფილად დემარკირებული მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან აქვს და მასზე შეთანხმება 2010 წელს შედგა.

რატომ შეიძლება აღმოჩნდეს დავითგარეჯი ფეთქებადსაშიში?!

საქართველოს **ომი ჰქონდა რუსეთთან, რომელიც ოფიციალურ მტრადაა გამოცხადებული. გარდა ამისა, არსებობს კონფლიქტური ტერიტორიები ქვეყნის შიგნით. არსებული მდგომარეობით საქართველოს საზღვრები ოფიციალურად, სრულყოფილად დემარკირებული მხოლოდ თურქეთთან აქვს. ყველა სხვა სახმელეთო მეზობელთან კი დემარკაცია მხოლოდ ნაწილობრივაა განხორციელებული. მათ შორის აზერბაიჯანთან, დაახლოებით, 480-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლიდან შეთანხმება მიღწეულია 314 კილომეტრზე. აზერბაიჯანის მონაცემებით, 1995 წლიდან კომისია საზღვრის დასადგენად 11-ჯერ შეიკრიბა, თუმცა პროცესი ბოლომდე არ მისულა. ამდენად, პოტენციური საფრთხე, რაც საზღვრებთან დაკავშირებით შეიძლება გამწვავდეს, ნებისმიერ მეზობელთან არსებობს.**

საერთაშორისო სამართალი საქართველოს საზღვრებს იმ ფარგლებში აღიარებს, რაც მას ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის. დავით გარეჯთან მიმართებით, ეს საზღვარი დაუზუსტებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნისტების პერიოდში გამოცემულ სხვადასხვა რუკაზე განსხვავებული ხასიათის ინფორმაციაა დატანილი.

„საერთაშორისო სამართლის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აზერბაიჯანი და საქართველო ავტომატურად იქცნენ იმ ადმინისტრაციული საზღვრის განმკარგველები, რაც მათ შორის არსებობდა. ამის შედეგად, ეს საზღვრები სახელმწიფო საზღვრებად იქცა, რომელსაც უკვე აკონტროლებს ორივე ქვეყნის საზღვრის დაცვის სამსახური. ფაქტია, რომ „ქეშიკჩიდაგის“ მონაკვეთზე საზღვარი იყო და მას იცავდნენ და იცავს ორივე ქვეყნის შესაბამისი უწყების წარმომადგენლები. დაცულ გადასასვლელებზე, ქვაბულების მიმართულებით, ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და საერთო შეთანხმების თანხმად, ქართველი მომლოცველების გადაადგილება ხორციელდებოდა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მეთვალყურეობის ქვეშ, რაც დღესაც ასევე გრძელდება. რაც შეეხება რაიმე სახის სამეურნეო ან სხვა სამუშაოებს, ყველა იმას აკეთებს, რასაც საჭიროდ თვლის, მისი ტერიტორიის ფარგლებში,“ — განაცხადა აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხალაფ ხალაფოვმა 27 მაისს. ხალიფოვს საზღვრის დელიმიტაციის შესახებ მოლაპარაკებების დიდი გამოცდილება აქვს.

სერგი კაპანაძე, ამჟამად პარლამენტის წევრი „ევროპული საქართველოდან“, რომელიც წლების განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გახლდათ, „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამჟამინდელ კრიზისზე დავითგარეჯთან მიმართებით პრეზიდენტია დამნაშავე: „კრიზისი მთლიანად შექმნა სალომე ზურაბიშვილის უპასუხისმგებლო განცხადებებმა და თავის გამოჩენის მცდელობამ, შემდეგ მასზე რეაქციამ და კიდევ იმან, რომ სამთავრობო კომისიამ, რომელიც დაკავებული უნდა იყოს საზღვრის დელიმიტაციით, დადგენით და შეთანხმებით, არ იმუშავა ბოლო წლების განმავლობაში“.

ისტორიული რაკურსი დავითგარეჯის ირგვლივ

საბჭოთა **კავშირის დროს 20-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვარი ხელახლა გაიმიჯნა. ის გადის თხემზე და ამ უზარმაზარი სამონასტრო კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს ხვდება. მათ შორის, ბერთუბანი, რომელზეც დღეს საერთოდ აღარ ვსაუბრობთ, რადგან არანაირი შანსი არაა ამ ტერიტორიების გაცვლის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო ამის თაობაზე საუბარი, რომელიც წარუმატებლად დასრულდა. დამოუკიდებლობის სამწლიანი ისტორიის დროსაც (1918-1921 წწ), საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრები არ იყო მიღებული ორივე მხარის მიერ. დამოუკიდებელ საქართველოსა და დამოუკიდებელ აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობდა მათზე მუშაობა. მათ შორის, არ იყო გადაწყვეტილი საინგილოს საკითხი. უკვე გასაბჭოებულ აზერბაიჯანსა და ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოს შორისაც შედგა ამის თაობაზე საუბარი.**

მაშინაც ვერ მოხვდა ამ საზღვრების დელიმიტიზაცია. საბჭოთა დროში, როგორც ჩანს, არ მიაქციეს ამ საკითხს სათანადო ყურადღება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მაინც იყო დისკუსიის საკითხი და ვერ ვიტყვით, რომ იოლად გასცეს ყველაფერი. მაშინაც იყო სერიოზული დავა, მაგრამ რადგანაც მაინც ჩათვალეს შემდგომ, განსაკუთრებით ქართველმა კომუნისტებმა, რომ ფორმალუ-

ქართული, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის ენა

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები კარიერულ ზრდაში და როგორ უნდა იპოვონ ადამიანებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები საოკუპაციო ხაზს იქით და აქეთ.

ამ კითხვების პასუხი სახელმწიფო ენაა, რომელიც საქართველოში ორია — ქართული და აფხაზური. სახელმწიფო ენის პოპულარიზაციაზე 31 მაისს თბილისში გამართულ კონფერენციაზე ისაუბრეს.

„სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში“ — ასე ერქვა კონფერენციას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო.

მეორე სახელმწიფო ენა

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს **პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უკვე მეორედ ილაპარაკა აფხაზური ენის პრობლემებზე. „აფხაზური ენა ჩვენი დასაცავია“,** — თქვა მან კონფერენციაზე. უფრო ადრე კი, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებაზე განაცხადა, რომ ოკუპირებული ტერიტორიის რუსიფიკაციის გამო აფხაზურ ენას გაქრობა ემუქრება. პრეზიდენტის ამ განცხადებას აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან უპასუხეს, რასაც სალომე ზურაბიშვილი ხელახლა გამოეხმაურა.

„26 მაისს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ მივიღე რეაქცია ე.წ. აფხაზეთის მთავრობისგან, რომ არაფერი ხდება და არ მიმდინარეობს რუსიფიკაცია. კარგია, რომ საჭიროდ ჩათვალეს რეაგირება. ეს ნიშანია იმისა, თუ რამდენად სწორი იყო ანალიზი“, — თქვა სალომე ზურაბიშვილმა კონფერენციის შესავალ სიტყვაში.

საქართველოში ორივე სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით და ქვეყანას აქვს ვალდებულება, იზრუნოს მის განმტკიცებაზე.

აფხაზური ენის პოპულარიზაციის მიზნით წელს აფხაზეთის მთავრობამ გამოსცა წიგნი „აფხაზური ენა დამწყებთათვის“, რომელიც მცირე ტირაჟით — 800 ცალი დაიბეჭდა.

აფხაზურ ენაზე ნათარგმნია ქართული ლიტერატურა, მათ შორის ვეფხისტყაოსანი, თუმცა თარგმანების დიდი ნაწილი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული.

ქართული ენა ქვეყნის შიგნით ინტეგრაციისთვის

სუსანა ხაჩატურიანი, საქართველოში სომეხთა ეპარქიის პრესსპიკერი იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინათ ეთნიკური სომხებით დასახლებულ ახალქალაქში ქართულად არ ლაპარაკობდნენ, ახლა კი უფრო მეტი ახალგაზრდა საუბრობს სახელმწიფო ენაზე. ყველა მაღალ დონეზე ვერ ფლობს ქართულს, თუმცა, მისი თქმით, პროგრესი საგრძნობია.

2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები გამარტივებული ქართულით იღებენ უმაღლეს განათლებას. პროგრამას 1+4 ეწოდება. სტუდენტები 1 წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების კურსს და შემდგომ, 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. თუ 2010 წელს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 247 სტუდენტი ირიცხებოდა, 2018 წლის მონაცემებით, ეს რაოდენობა 1231-მდე გაიზარდა.

„სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია, როგორც წყალი და ჰაერი“, — ამბობს სუსანა ხაჩატურიანი. **„როცა ცხოვრობ სხვა ქვეყანაში, უნდა იცოდე სახელმწიფო ენა, რადგან ეს სასარგებლოა და, მეორე მხრივ, ეს არის დიდი პატივისცემის ნიშანი. ახლანდელ დროში ახალგაზრდობაში — მით უმეტეს, თბილისში — ეს პრობლემა თითქმის არ არსებობს, მაგრამ რეგიონებში ეს პრობლემაა, რადგან ქართულს სალაპარაკო ენად არ იყენებენ. მაგრამ დიდ როლს ასრულებს 1+4 პროგრამა, რადგან ამ რეგიონებიდან ჩამოდის ახალგაზრდობა, გაივლის მოსამზადებელ კურსს და კარგად ლაპარაკობენ. მათ უკვე იციან ენა, ფლობენ, საწყის დონეზე იციან“,** — უთხრა სუსანა ხაჩატურიანმა „რადიო თავისუფლებას“. კონფერენციის მიმდინარეობისას სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ხელი მოაწერა ოთხმხრივ მემორანდუმს. მხარეები ერთად განახორციელებენ სასწავლო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროექტებს, რათა ქართული უფრო პოპულარული ენა გახდეს ეროვნულ უმცირესობებში.

„სახელმწიფო ენის ფლობა თითოეული მოქალაქისთვის თვითრეალიზაციისა და წარმატების მთავარი გასაღებია. დღეს ჩვენს პრეზიდენტთან და სხვა უწყებებთან ერთად განვიხილავთ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას დამატებით იმისთვის, რომ ერთობლივი ძალისხმევით გაძლიერდეს სახელმწიფო ენა და, უფრო კონკრეტულად, ამაღლდეს სახელმწიფო ენის ცოდნის დონე“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 6,3 % ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ხოლო 4,5% — ეთნიკურად სომეხი. ქართული ენის ცოდნა ეროვნულ უმცირესობებში ჯერ ისევ გამოწვევად რჩება. ქართულის, როგორც მეორე ენის, დონე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2018 წელს გაზომა. შეფასებამ აჩვენა, რომ მოსწავლეების 63 % ჯერ კიდევ სასწავლო გეგმის დაძლევის ზღვარს მიღმაა.

სოფო დათიშვილი

რი მნიშვნელობა აქვს საზღვრებს, შედარებით ადვილად დათანხმდნენ იმ მოთხოვნებს, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანი აყენებდა, — დამოუკიდებელი საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების თაობაზე ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე გვიყვება.

„ალბანეთთან დაკავშირებული საკთხი, საერთოდ, თითდან გამოწვილია. რატომ უნდა მოახდინოს ალბანეთის კულტურისა და ისტორიის მონოპოლიზაცია აზერბაიჯანმა, გაურკვეველია, რადგან ალბანეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავდა. განსაკუთრებით აქტუალური ეს თემა აზერბაიჯანისთვის სომხეთთან კონფლიქტის შემდგომ იქცა, თუმცა საბჭოთა პერიოდშიც ჩანს ალბანეთის ინსტრუმენტალიზაციის მცდელობები. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დღეს იმას, სად გადიოდა საზღვრები შუა საუკუნეების პერიოდში. ფაქტი რჩება, რომ ეს საკითხი, სწორედ იმის გამო, რომ საბჭოთა დროს გარკვეული საზღვრები შედგა, წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. ეს არ არის აქედან და იქიდან დროშების საფრიალო საკითხი. მე ვფიქრობ, ორივე ქვეყანა დაინტერესებული უნდა იყოს ამ საკითხის მოგვარებით,“ — გვეუბნება ლაშა ბაქრაძე და განმარტავს, რომ სადავო ტერიტორია თხემიდან ძალიან ახლოს მდებარეობს.

„ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა, მისი ნეიტრალურ ზონად გამოცხადება, თუმცა ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, მაგრამ ამაზეც შეიძლება ფიქრი. აზერბაიჯანიდან ტურისტებმაც რომ შეძლონ სტუმრობა და ჩვენი მხრიდანაც. ვფიქრობ, არც ერთ სახელმწიფოს არ მიაყენებს ეს ზარალს“, — ასეთი გახლავთ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი შესაძლებლობა, ისტორიკოსის აზრით, — **„წყნარად და მშვიდად თუ ვისაუბრებთ ამ საკითხზე, მისი მოგვარების შანსები არაა მცირე. ბაქოშიც, თბილისშიც შეიძლება კონფერენციების მოწვევა და მსჯელობა. ჩვენ და აზერბაიჯანელები, დიდწილად, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და დიდი სიბეცე იქნება, გადავემტეროთ ერთმანეთს და ამით მტერი გავახაროთ.“**

ბექა კობახიძე კიდევ ერთი ისტორიკოსია, რომელიც „ამერიკის ხმასთან“ საუბრობს დავითგარეჯის საკითხზე და აღნიშნავს, რომ საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრების დადგენის საკითხი აქტუალიზდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგომ. **„ეს ტერიტორია შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ეკუთვნოდა საქართველოს, რუსეთთან შეერთების დროისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში როგორც ასეთი, ცალკე პოლიტიკური ერთეული საქართველო ან აზერბაიჯანი არ არსებობდა. იყო თბილისის, ქუთაისის გუბერნიები, ასევე განჯისა და ბაქოს გუბერნიები. იმპერიის დაშლის დროისთვის სასაზღვრო საკითხები საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის ბოლომდე გარკვეული არ ყოფილა. იყო ძალიან მცირე დრო, ძალიან კარგი ურთიერთობა და საერთო საფრთხე ჩრდილოეთიდან. ამ ორ სახელმწიფოს ჰქონდა სრულიად ჰარმონიული თანამშრომლობა და არ დამდგარა ისეთი საკითხი, როგორიცაა ზაქათალა.“**

საზღვრის საკითხი აქტიურდება საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში არიან ნაციონალ-უკლონისტები. ისინი ქმნიან კომისიას, რომელმაც უნდა დაადგინოს საზღვრები, მათ შორის დავითგარეჯისა და ზაქათალის მიმართულებაზე. **„შეთანხმება ვერ ხერხდება. საკითხი განსახილველად გადაეცემა რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე, ხოლო მოსკოვიდან დირექტივებს იძლეოდა სტალინი, რომელიც გახლდათ ეროვნებათა სახალხო კომისარი, ეროვნებათა მინისტრი, ასე რომ ვთქვათ. ეს საზღვრები გაივლო 1922 წელს. ბოლშევიკებისთვის არ იყო აქტუალური რელიგიური ძეგლების კუთვნილების საკითხი, რადგან 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში ეს საკითხი პრიორიტეტული არ ყოფილა. მეორე მხრივ, ეს იყო ერთიანი სახელმწიფო. დავითგარეჯის კომპლექსი მოექცა საზღვრის გასაყართან. აზერბაიჯანს სჭირდებოდა საძოვრები და აქედან გამომდინარე, საზღვრები გაივლო იქ, სადაც ახლა დგანან აზერბაიჯანელი და ქართველი მესაზღვრეები“,** — გვეუბნება ბექა კობახიძე.

მისი მოსაზრებით, საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ საქართველო და აზერბაიჯანი მაქსიმალურად გახსნიან საზღვრებს. ამით ამ საკითხს მნიშვნელობა დაეკარგება. ამჟამად პრობლემურ მონაკვეთებზე კი წვდომა სრულად ექნებათ როგორც ქართველებს, ისე აზერბაიჯანელებს.

პატრიარქის პოზიცია

27 მაისს დავითგარეჯის საკითხის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც მითითებულია, რომ საეკლესიო თემიდან გამომდინარე, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სერიოზული პრობლემების შექმნა სურს სხვა ძალას, რომელიც თავისი მიზნის განხორციელებისთვის, დასაყრდენს პოულობს როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანაში. პატრიარქმა მოუწოდა როგორც მრევლს, ისე სამღვდელოებას კეთილგონიერებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობისკენ და მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკების პროცესში ჩასართველად.

პატრიარქის განცხადების შემდგომ, დავითგარეჯში ვითარება განიმუხტა. ამჟამად გადაადგილება შესაძლებელია როგორც ჩიჩხიტურის კოშკის, ისე უდაბნოს მონასტრის მიმართულებით.

ნინო დალაქიშვილი

თსუ-ს სტუდენტური ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტუდენტური ექსპედიციისთვის ემზადებიან. 30-მდე სტუდენტმა სამზადისი ფოკადან, ფარავნის ტბიდან დაიწყო, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში კარვებით იყვნენ დაბანაკებული.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის მიზნით ერთი თვის განმავლობაში სტუდენტები სამცხე-ჯავახეთში იცხოვრებენ. ისინი ადგილობრივებთან ერთად დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის დაგეგმილია ექსკურსიები, ფილმების ჩვენება; ერთი თვის მანძილზე თსუ პროფესორები სამცხე-ჯავახეთში ჩავლენ და სხვადასხვა თემაზე საჯარო ლექციებს წაიკითხავენ. თსუ სტუდენტური ექსპედიცია 2001 წლიდან ეწყობა. წლევანდელი ექსპედიცია 14 ივლისს დაიწყება და 14 აგვისტომდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია.

საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონს NATO-ს ახალ 4-პუნქტიან სტრატეგიაში წამყვანი ადგილი უკავია



ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, მსოფლიოს უსაფრთხოების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების შესაბამისად ახალი სამხედრო სტრატეგიის შესახებ დოქტრინა გამოაქვეყნა. ახალ 4-პუნქტიან სამხედრო სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოსა და შავიზღვისპირა რეგიონებს, რაც დოქტრინის 2 და 3 პუნქტებშია აღნიშნული.

ბუნებრივია, ალიანსის ახალ დოქტრინაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარ საფრთხედ რუსეთია მოხსენიებული და სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით, NATO ცვლის სამხედრო პრიორიტეტებს აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში.

დოკუმენტში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი შავი ზღვისპირა რეგიონია. ის ახალი სტრატეგიის მეორე პუნტშია მოხსენიებული. NATO ზრდის თავის კონტინგენტს შავ ზღვაში — საუბარია სამხედრო თვითმფრინავებით პატრულირებაზე, აკვატორიაში ფრეგატებისა და სხვა სამხედრო გემების არსებობაზე.

ალიანსში აცხადებენ, რომ იყო დრო, როდესაც შავი ზღვის რეგიონი უსაფრთხო იყო მაგრამ რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ 2008 წელს საქართველოში და 2014 წელს უკრაინაში, რეალობა შეცვალა და NATO-სთვის ბალტიის ზღვამ მეორე პლანზე გადაიწია.

„შავი ზღვა არცერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ ეკუთვნის და ჩვენ ყველას მუდმივად შევახსენებთ ამას,“ — აცხადებს ალიანსის მრჩეველი რუსეთის საკითხებში რობერტ პშელი.

„დადგა ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც შავიზღვისპირა რეგიონი არასტაბულური იქნება, აქ რუსეთის გაძლიერებული სამხედრო ყოფნის გამო,“ — აცხადებს ჯეიმს აპატურაი, ალიანსის გენმდივნის წარმომადგენელი. მისი თქმით, ალიანსს აქვს გრძელი სია, შავ ზღვაში დაგეგმილი სხვადასხვა მიმართულების სწავლებებისა, სადაც NATO და მისი მოკავშირეები (იგულისხმება უკრაინა და საქართველო) მიიღებენ მონაწილეობას. ამავე კონტექსტში განიხილავს ნატო რეგიონში მის მთავარ მოკავშირეებთან, საქართველოსა და უკრაინასთან ურთიერთობას, განსაკუთრებით საქართველოსთან, რომელიც ალიანსის წარმომადგენელთა განცხადებით დიდი ხანია მიისწრაფის NATO-წევრობისკენ, ხოლო ქვეყნის უმაღლესი პირები ათწლეულებია, რაც აცხადებენ, რომ ევროატლანტიკური სივრცე ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია.

ალიანსის ეგიდით ბოლო, 2019 წლის მარტში ჩატარებული სამხედრო სწავლებების დროს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განაცხადა, რომ სწავლებები არცერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუმცა, აქვე მიანიშნა რუსეთზე, როდესაც აღნიშნა, რომ სწავლებები ხელს უწყობს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, შეამოწმონ მზადყოფნა შესაძლო აგრესიის მოგერიების კუთხით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 4-პუნქტიანი დოკუმენტის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ალიანსს მთელი პაკეტები აქვს შემუშავებული საქართველოსა და უკრაინისთვის, სადაც სამხედრო სწავლებებთან ერთად შესულია ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

დონალდ ტრამპი ბუკინგემის სასახლეში დედოფალ ელისაბედ მეორეს შეხვდა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა დიდ ბრიტანეთში ვიზიტი დედოფალ ელისაბედ მეორესთან შეხვედრით დაიწყეს.

აშშ-ის პრეზიდენტი ბუკინგემის სასახლეს მეუღლესთან, ასევე შვილთან ივანკა ტრამპთან და სიძესთან ჯარედ კუშნერთან ერთად ეწვია.

მოგვიანებით, დედოფალმა ბუკინგემის სასახლეში სახელმწიფო ბანკეტს უმასპინძლა, რომელსაც ასევე კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია ესწრებოდნენ. მიღებას არ დაესწრო სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაერთიანებულ სამეფოში სამდღიანი სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდა. დღეს დაგეგმილია აშშ-ის პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის მოლაპარაკებები. დონალდ ტრამპის ვიზიტის პარალელურად დიდი ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქში აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაა დაგეგმილი.

დევიდ კრამერი: მეტი რეფორმები, მეტი უსაფრთხოება, მეტი ინტეგრაცია, ქართველებო!

(მეოთხე გვერდიდან) **— ცოტათი ნაკლებია, მაგრამ მაინც ძლიერია.**

— დიახ, მცირდება და მე ეს მაშფოთებს. ეს ისევეა ნატოს ბრალი, როგორც საქართველოს ლიდერებისა. არ იყო საკმარისი პროგრესი 2008 წლის ბუქარესტის კომუნიკეს შემდეგ, რომელშიც ნატომ განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან წევრები. არასაკმარისი პროგრესი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ქართველებს გაეგოთ, რომ სწორი მიმართულებით მიდიან. ვფიქრობ, ზოგიერთს საქართველოში და ზოგიერთ უკრაინელს აშფოთებთ ის, რომ ისინი ვერასდროს მიაღწევენ ნატოში გაწევრიანების მიზანს. ვფიქრობ, ნატომ უნდა დაარწმუნოს საქართველო და უკრაინა 11 წლის წინანდელი დაპირების რეალურობაში. არც თუ დიდი ხნის წინათ ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი იყო აქ და გაიმეორა ის გზავნილი. ვფიქრობ, რიტორიკიდან რეალურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეთ.

— რა შეიძლება მოხდეს გაწევრიანებამდე? რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ნატომ?

— თუკი გავიხსენებთ, 2008 წელს საქართველო ისწრაფვოდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებისკენ. ნატომ მას ის არ მისცა. ამის ნაცვლად იყო ეს დაპირება, რომელიც გარკვეულწილ უსწრებდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. არ ვარ დარწმუნებული, რომ ახლა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს შეიძლება უკანგადადგმული ნაბიჯიც იყოს. ეს შეიძლება იყოს ნაბიჯი არსაით. საქართველოს სჭირდება დარჩეს ნატოს წევრობისკენ მიმავალ გზაზე. მან აჩვენა მზადყოფნა, შეიტანოს წვლილი ნატოს მისიებში: ავღანეთში ის არის მეორე უმსხვილესი კონტრიბუტორი. 2008 წელს საქართველო დაუპირისპირდა რუსეთის სამხედრო ძალებს. ის განიცდის პროგრესს სამხედრო ძალების სამოქალაქო კონტროლსა და წვრთნაში. საქართველო აჩვენებს, რომ სწორი მიმართულებით მიდის. საჭიროა, ნატომ აჩვენოს, რომ ის მზად არის მიიღოს საქართველო. ეს არ იქნება ხვალ. ალბათ, არ მოხდება წელს და მომავალ წელს, მაგრამ არც ძალიან დიდი ხნის შემდეგ. სხვა შემთხვევაში, ნატო რუსეთს ანიჭებს დე ფაქტო ვეტოს უფლებას საქართველოსა და უკრაინის ნატოსკენ სწრაფვაზე. თუკი ნატო იტყვის, რომ ქვეყანა ვერ გახდება ნატოს წევრი, იმის გამო, რომ მისი ნაწილი ოკუპირებულია, ეს იქნება დამატებითი სტიმული, რუსეთისთვის მოახდინოს ქვეყნის ტერიტორიის მორიგი ოკუპაცია, თუკი მას ეცოდინება, რომ ამით ქვეყანას მოუჭრის ნატოში გაწევრიანების გზას. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ოკუპაცია, რომელიც არის სხვა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საშინელი დარღვევა, არ ახდენს ქვეყნის დისკვალიფიკაციას ნატოში გაწევრიანებისთვის. გავიხსენოთ, რომ დასავლეთ გერმანია შეუერთდა ნატოს მაშინ, როცა აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ.

— განსხვავებული დრო იყო.

— ძალიან განსხვავებული, მაგრამ უსაფრთხოების საჭიროება, რომელსაც უზრუნველყოფს ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი, უცვლელია და ჩვენ ვხედავთ პუტინის ლიდერობით რუსეთის მზადყოფნას, გამოიყენოს ძალა თავისი მეზობლების ტერიტორიებზე შესაჭრელად და განსაკუთრებით, ნატოში ინტეგრაციის წინააღმდეგ. შეხედეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ისინი ჯერაც ღელავენ, მაგრამ ღამით უკეთესად სძინავთ, რადგან იციან — ნატოს წევრები არიან და მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილია მეხუთე მუხლით. ჩემი აზრით საქართველო და უკრაინა უნდა იყვნენ უფლებამოსილი ასეთსავე დაცულობაზე.

— არის თუ არა დასავლეთის სანქციები ეფექტიანი რუსეთის წინააღმდეგ?

— დასავლეთის სანქციები ეფექტიანი იქნება, თუკი ისინი დროთა განმავლობაში გამკაცრდება. თუკი ისინი უცვლელი დარჩება, რუსები ადაპტირდებიან. რუსეთის ეკონომიკა, რუსეთის ხელისუფლება მოერგება მათ. იმისათვის, რომ სანქციებმა იმუშაოს (ვფიქრობ, რომ სანქციებს ჰქონდა ეფექტი. მათ შეაკავეს პუტინი იმისგან, რომ მეტი ჩაედინა უკრაინაში 2014-15 წლებში) და შეცვალოს პუტინის ქმედება, ისინი უნდა იზრდებოდეს მანამდე, ვიდრე არ დავინახავთ ქცევის ცვლილებას. როცა დავინახავთ ქცევის ცვლილებას, როცა დავინახავთ, რომ რუსეთი გამოვიდა არა მხოლოდ დონბასიდან, არამედ ყირიმიდანაც, მაშინ შესაძლებელი იქნება სანქციების გაუქმება. ახლა ნამდვილად არ არის სანქციების გაუქმების დრო.

— მოდით, საქართველოში დავბრუნდეთ. მესმის, ეს ინტერვიუ უსასრულო ვერ იქნება, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ შემდეგ არჩევნებამდე შევხვდებით. სინამდვილეში, ბოლო არჩევნებიც ჯერ არ დასრულებულა. თბილისის ერთ-ერთ ოლქში მეორე ტურს ველოდებით. თუმცა, სრულიად აშკარაა, რომ ყველაფერი ეს განიხილება მორიგი არჩევნების კონტექსტში და ყველა ფიქრობს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. მინდა, გკითხოთ: რა არის ის მთავარი საფრთხე, რაც თავიდან უნდა აიცილოს საქართველომ 2020 წლის არჩევნებზე?

— არაერთი საფრთხეა. ერთ-ერთი არის, თავიდან აიცილოს პოლარიზაცია, რომელიც არაერთ ქვეყანაში ვნახეთ, მათ შორის, ჩემს ქვეყანაში — შეერთებულ შტატებშიც, სადაც დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის პოლარიზაცია იმაზე მაღალია, ვიდრე მე მრავალი წლის განმავლობაში მინახავს. თანამშრომლობა პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც განიცდის ზეწოლას, საშიშროებას, აგრესიას რუსეთის მხრიდან. მეორე — მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ შენი მიზანი არ უნდა იყოს ძალაუფლებას ჩაჭიდება იმისთვის, რომ ოპოზიციას არ მისცე ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალება. არჩევნებში გამარჯვება უნდა გინდოდეს საქართველოს საერთო საქმის წინ წასაწევად, რაც არის — მეტი პოლიტიკური რეფორმა, მეტი ეკონომიკური რეფორმა, მეტი უსაფრთხოების რეფორმა და მეტი ინტეგრაცია ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში. მაშფოთებს ის, რომ საქართველოში არის ტენდენცია არჩევნების მოგებისა მხოლოდ მოგებისთვის, მკაფიო პლატფორმის და იმის ცოდნის გარეშე — რაში უნდა გამოიყენოს გამარჯვებულმა პარტიამ არჩევნების მოგება. ვფიქრობ, უფრო ძლიერად უნდა იყოს არგუმენტირებული — რას გაიკეთებს „ქართული ოცნება“, თუკი არჩევნებში გაიმარჯვებს და ასევე — რას გაიკეთებს ოპოზიცია არჩევნების მოგების შემთხვევაში. იმედი მაქვს, ისინი გამონახავენ მეტ საერთოს, ვიდრე დასაწყისში იყო და შეთანხმდებიან მეტი დემოკრატიული რეფორმების, მეტი ეკონომიკური რეფორმების, მეტი უსაფრთხოების რეფორმის გატარებასა და მეტად ინტეგრაციაზე ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში. იმედი მაქვს, იქნება საერთო თანხმობა იმ პოლიტიკური განსხვავებულობის გაცნობიერების კვალობაზე, რომელიც არჩევნების დროს ზედაპირზე ამოდის.

ნინო გელაშვილი

რა ღირს საზოგადოებრივი ტრანსპორტი საქართველოსა და მსოფლიოში

ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად სახლიდან სამსახურში და პირიქით, ან თუნდაც სხვა მიმართულებით გადასაადგილებლად საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებენ, საქართველოში, თვეში საშუალოდ 22 ლარიდან – 32 ლარამდე ხარჯავენ. ეს დამოკიდებულია იმაზე, რას ირჩევს მგზავრი – მეტროს, ავტობუსს თუ სამარშრუტო ტაქსს?

საქართველოში მეტროთი მგზავრობა 50 თეთრი ღირს. შესაბამისად, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღიური ორმხრივი მგზავრობის ღირებულება, თვეში 22 ლარი გამოდის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ხელმეორედ მგზავრობა უფასოა. ანალოგიური ხარჯია ავტობუსის შემთხვევაში, თუმცა, ეს არ ეხება არც ბავშვებს, რომლებიც უფასოდ მგზავრობენ, არც პენსიონერებს და არც სტუდენტებს, რომლებიც გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ. ეს ყველაფერი ეხება მათ ვინც, გადასაადგილებლად პლასტიკურ ბარათებს იყენებს.

რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს, მისი ფასი 80 თეთრია, ხოლო თუ ორი გზის ღირებულებას დავითვლით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკან დასაბრუნებელი გზის ფასი 65 თეთრია, ამიტომაც მგზავრს ჯამში 31.90 ლარი გამოსდის ხარჯი.

ასეთია საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასები. რაც შეეხება მსოფლიოს:

Deutsche Bank-ის ექსპერტებმა იმ ქალაქების სია შეადგინეს, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მთელს მსოფლიოში ყველაზე ძვირია. საანგარიშო პერიოდად ერთი თვე აიღეს, შაბათ-კვირის გამოკლებით და დაითვალეს ყოველდღიურად ორი გზის ღირებულება.

შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველაზე ძვირი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ლონდონშია, სადაც ბილეთის ღირებულება თვეში 179 დოლარია. ქალაქის სიმბოლო წითელი ორსართულიანი ავტობუსები დაახლოებით 700 მარშრუტზე მოძრაობს. ხოლო მეტროპოლიტენი 11 ხაზზე მუშაობს, რომლის სიგრძე ჯამში 402 კმ-ია და 270 სადგურს აერთიანებს. სიძვირის მაჩვენებლით ლონდონს ოდნავ ჩამოუვარდება ირლანდიის დედაქალაქი დუბლინი, სადაც თვიური გაანგარიშებით ერთი მგზავრის ღირებულება 128 დოლარი გამოვიდა.

სამეულში მოხვდა ოკლენდიც, სადაც მგზავრობა თვეში 125 დოლარი ჯდება. ქალაქში სატრანსპორტო ქსელის რეორგანიზაცია გასულ წელს დასრულდა, რის შედეგადაც მარშრუტების რაოდენობა და სიხშირე გაიზარდა. ყველაზე ძვირი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მქონე ქალაქების ათეულში მოხვდა ტოკიოც, სადაც მოსახლეობის ხარჯი გადასაადგილებლად თვეში 123 დოლარს უტოლდება. ხუთეულშია ნიუ-იორკი, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა მოქალაქეებს 121 დოლარი უჯდებათ. ქალაქში ძირითადი და საუკეთესო საშუალება გადასაადგილებლად მეტროა, რომელსაც ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი გადაჰყავს.

საშუალოდ 120 დოლარი უჯდებათ მგზავრობა სიდნეიში. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ისტორიაში პირველად მეტროპოლიტენი შენდება, ერთი ხაზითა და 13 სადგურით. მისი გახსნა კი, 2019 წლის მეორე კვარტალშია დაგეგმილი.

მეშვიდე პოზიციაზეა ველინგტონი, 113 დოლარის ღირებულების თვიური ხარჯით. მას მოსდევს ტორონტო, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოიცავს მეტროს, ავტობუსებსა და ტრამვაის, მათი საშუალო ხარჯი კი 107 დოლარია ყოველთვიურად.

ყველაზე ძვირი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მქონე ქალაქების ბოლო ორ პოზიციას ჩიკაგო და მელბურნი ინაწილებენ, საშუალო ხარჯით – 107 და 102 დოლარი.

შედარებისთვის, საქართველოში დათვლილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯი, ანუ 22-32 ლარი, დღევანდელი მდგომარეობით 8-12 დოლარი გამოდის.

BMG
COMMERSANT.GE

მანქანა მთლიანად ჩაძირული იყო, გადასაგდებია...

საბურთალოს რაიონში, მგალობლიშვილის ქუჩაზე, გუშინ წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელის დაზიანებამ მოსახლეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. დაიტბორა საცხოვრებელი კორპუსების პირველი სართულები, ჩავარდა საავტომობილო გზა და დაიმტვრა ავტომობილები, დაზიანდა პირველ სართულებზე მდებარე კომერციული ობიექტებიც. ადგილობრივების თქმით, დილით ძლიერი აფეთქების მსგავსი ხმა გაიგონეს, გარეთ გამოსვლის შემდეგ კი დატბორილი ქუჩა დახვდათ.

„მანქანა მთლიანად ჩაძირული იყო, გადასაგდებია. პარკინგზე იყო გაჩერებული. პარკინგის ადგილზე, სადაც ახლა ორმო არის და ორ მანქანასთან ერთად ჩატანილი იყო ბოლომდე, მიწამ ჩაიტანა ბოლომდე წყალში.“ – განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა.

***

მგალობლიშვილის ქუჩაზე იმყოფებოდნენ კომპანია „GWP“-ის გენერალური დირექტორი და რაიონის გამგებელი.

როგორც „GWP“-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ბაბუხადია აცხადებს, დაზიანდა თუჯის მილსადენი. მისი თქმით, მოსახლეობის ნაწილს წყალმომარაგება უკვე აღუდგა, დანარჩენს კი 24 საათის მანძილზე მიეწოდება სასმელი წყალი.

„მოვუწოდებ მოსახლეობას, ვისაც ზიანი მიადგა, მოგვმართონ განცხადებით და სრულად ავუნაზღაურებთ მიყენებულ ზიანს,“ – განაცხადა ბაბუხადიამ.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი F4) გაუმჯობესების პროექტი

დავალების სახელწოდება:
E-60 ავტომაგისტრალის F4 შორაპანი-არგვეთას
გზის მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა

 # SARP/CS/QCBS-01

საქართველო აზიის განვითარების ბანკისგან მიიღებს დაფინანსებას აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის) გაუმჯობესების პროექტის განსახორციელებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებულ იქნება მოცემული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: „E-60 ავტომაგისტრალის F4 შორაპანი-არგვეთას გზის მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა“.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა: 60 თვე

შერჩევა განხორციელდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით „Procurement Regulations for ADB Borrowers“ (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/documents/procurement-regulations-adb-borrowers).

ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია აზიის განვითარების ბანკის საკონსულტაციო მართვის სისტემის მეშვეობით (ADB Consultant Management System) შემდეგ ბმულზე: https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=152270.

GEORGIA EAST-WEST HIGHWAY (SHORAPANI-ARGVETA SECTION – F4) IMPROVEMENT PROJECT

ASSIGNMENT NAME: **CONST5RUCTION SUPERVISION CONSULTANT FOR THE E-60 HIGHWAY F4 SHORAPANI-ARGVETA SECTION**

PACKAGE #: **SARP/CS/QCBS-01**

The government of Georgia has applied for financing from the Asian Development Bank (ADB) towards the cost of the Shorapani-Argveta Road Project and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financial of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites eligible consultants to express their interest for the following consultancy services: Construction Supervision Consultant for E-60 Highway F4 SHorapani-Argveta Project.

Duration of the Assignment: 60 months

Selection will be conducted according to the Quality and Cost Based Selection Method (QCBS) provided in the Procurement Regulations for ADB Borrowers (available at: https://www.adb.org/documents/procurement-regulations-adb-borrowers).

The expression of interest will be submitted through ADB Consultant Management System using the following link:
https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=152270.

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲝᲗᲮᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ **დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის თასის გათამაშება, სადაც ქართველმა ფალავნებმა 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებულ ინტერესს მსოფლიოს ჩემპიონ გურამ თუშიშვილის (+100 კგ) ასპარეზობა იწვევდა, რადგან იგი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ტატამს. ქართველმა ძიუდოისტმა სამი მეტოქე დაჯაბნა — მასპინძელი ბოტონდ კონჩი, უკრაინელი ფედორ პანკო, კიდევ ერთი რუმინელი მირჩეა კროიტორუ და პირველი ადგილი დაიკავა.**

თუშიშვილს მხარი კიდევ სამმა თანაგუნდელმა აუბა: 81 კილოში ოქროს მედალი არავის დაუთმო ვლადიმერ ახალკაცმა, რომელმაც 6-ვე მეტოქეს — უნგრელ ფერენც ტოტს, კვიპროსელ ფედიას კონარისს, უკრაინელ ბოჰდან ზუსკოს, შვეიცარიელ ლუკას ვიტვერს, პორტუგალიელ მიგელ ალვეშსა და ბრიტანელ სტიუარტ მაკვოტსს იპონებით აჯობა.

90 კილოში ორი ჩვენებური გამოდიოდა: ლაშა ბექაურმა პირველი ადგილი დაიკავა, იმედა გოგოლაძე კი მესამე იყო. ბექაურმა იტალიელ მატეო მარკონჩინის, უკრაინელ ვიქტორ მაკუხასა და ბრიტანელ მაქს სტიუარტს მოუგო, ხოლო ფინალში ბელგიელ იოახიმ ბოტიეს სძლია.

გოგოლაძემ ესპანელი მარკ ბრაუ საბატერი და ავსტრიელი სებასტიან შნიდერი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ მეოთხედფინალში იოახიმ ბოტიესთან წააგო, დამამშვიდებელში კი მიროსლავ ბლაჰუსიაკს და მაქს სტიუარტს წარმატების შანსი არ დაუტოვა.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში შეუდარებელი იყო ონისე სანებლიძე, რომელმაც 5 წუთში ოთხ მეტოქეს — რუმინელ იონუც ვასიანს, ჰოლანდიელ ფერდინანდ ანს, უნგრელებს — ზალან ოჰატსა და მიკლოშ სირენიკს იპონებით დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩვენს გუნდს კიდევ ერთი „ბრინჯაო“ ტატიანა ლევიცკა — შუკვანმა შესძინა.

საქართველოს ნაკრები 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედლით გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ იტალიას (4 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“) ჩამორჩა.

თამაზ პატარიძე

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲨᲐᲤᲐᲗᲐᲕᲐᲛ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ **სოფიო შაფათავა ესპანეთში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. წყვილებში ბრიტანელ ემილი ვებლი-სმიტთან ერთად ის მეორე ნომრად იყო განთესილი. ნახევარფინალში მათ ასპარეზობის მესამე ნომრებს მასპინძელ მარინა ბასოლს რიბერასა და ეკატერინა იაშინას (რუსეთი) აჯობეს — 6:1, 6:1, ფინალში კი სოფიომ და ემილიმ ბულგარელი ელიზა კოსტოვა და ბრიტანელი სამანტა მარეი დაამარცხეს — 6:4, 7:5 და მთავარი პრიზი მოიპოვეს. წლეულს შაფათავამ წყვილებში 25.000-იანი ტურნირი მეოთხედ მოიგო.**

გივი გაგუა

ᲙᲠᲘᲕᲘ

ᲝᲠ „ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ“ ᲓᲐᲡᲯᲔᲠᲓᲜᲔᲜ

ᲒᲐᲡᲣᲚ **უქმეებზე რუმინეთის ქალაქ გალაცში დამთავრდა 16-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 11 წარმომადგენელი ჩაება. მათგან მხოლოდ ორმა იყოჩაღა — გიორგი საჯაიამ და გიორგი დეკანოზიშვილმა, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში საჯაიამ მეორე წრეში სომეხ ვარდგეს ბაგდასარიანს აჯობა, შემდეგ აზერბაიჯანელ ასად აგაევს მოუგო, ნახევარფინალში კი რუს ალექსეი შენდრიკთან დამარცხდა.

80 კილოში გიორგი დეკანოზიშვილმა რუმინელი სტეფან ალექსანდრუ მაკოველი და ინგლისელი ჯეკ ტურნბალი დაჯაბნა, ხოლო ნახევარფინალი რუს ნიკიტა ლებედევთან დათმო.

ვაჟა ნოსირელი

ᲫᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

ᲗᲐᲗᲠᲔᲗᲘᲡ **რესპუბლიკის დედაქალაქი ყაზანი მოჭადრაკე ქალთა განახლებულ პრეტენდენტთა ტურნირს (საპრიზო ფონდი 200.000 ევრო) მასპინძლობს. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად რვა საუკეთესო დიდოსტატი თამაშობს. ესენი არიან: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2563), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2554), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2546), 2017 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2539), რუსეთის ორგზის ჩემპიონი ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2522), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2513), ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2510) და ევროპის სამგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2506).**

შეჯიბრების მონაწილენი ორ-ორჯერ (თეთრი და შავი ფიგურებით) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გამარჯვებული ტიტულისთვის მატჩში მსოფლიოს ჩემპიონ ცზიუი ვენძიუნს (ჩინეთი) შეხვდება.

ყაზანში უკვე გაიმართა სამი ტური. სტარტზე ოთხივე პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ვალენტინა გუნინა — კატერინა ლაგნო, ალექსანდრა კოსტენიუკი — ალექსანდრა გორიაჩკინა, ნანა ძაგნიძე — თან ჩჟუნი, მარია მუზიჩუკი — ანა მუზიჩუკი. მომდევნო ორ ტურში ნანა ძაგნიძემ დები მუზიჩუკები დაამარცხა.

II ტური. ძაგნიძე — ა. მუზიჩუკი 1:0, გორიაჩკინა — გუნინა 1:0, თან ჩჟუნი — მ. მუზიჩუკი 0.5:0.5, ლაგნო — კოსტენიუკი 0.5:0.5.

III ტური. ძაგნიძე — მ. მუზიჩუკი 1:0, გუნინა — კოსტენიუკი 1:0, გორიაჩკინა — ლაგნო 1:0, თან ჩჟუნი — ა. მუზიჩუკი 1:0.

სამი ტურის შემდეგ: ძაგნიძე, გორიაჩკინა — 2.5-2.5, თან ჩჟუნი — 2, გუნინა — 1,5, ლაგნო, კოსტენიუკი, მ. მუზიჩუკი — 1-1, ა. მუზიჩუკი — 0.5 ქულა.

მოჭადრაკეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-4 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ძაგნიძე — გუნინა, კოსტენიუკი — თან ჩჟუნი, ა. მუზიჩუკი — გორიაჩკინა, მ. მუზიჩუკი - ლაგნო.

ლაშა დიდია

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲗ

ᲤᲘᲓᲔᲛ **მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებშიც წინა თვის შედეგებია გათვალისწინებული. ქალთა პირველ ათეულშია ქართველი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე. 2659 პუნქტით ასეულს სათავეში უდგას ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი. თანამემამულეს 67 პუნქტით ჩამორჩება მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ცზიუი ვენძიუნი. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2563), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2558), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2554), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2538), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2537), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2530) და ნანა ძაგნიძე (2511).**

ძაგნიძის გარდა, ქართველთაგან ასეულში არიან: 17. ბელა ხოტენაშვილი (2480), 23. ლელა ჯავახიშვილი (2458), 38. ნინო ბაციაშვილი (2433), 62. მერი არაბიძე (2402), 82. სოფიკო გურამიშვილი (2381), 87. სალომე მელია (2376). საქართველოს ქალთა ათეულს ავსებენ ქეთი წაწალაშვილი (2356), სოფიკო ხუხაშვილი (2341) და სოფიო გვეტაძე (2316).

მსოფლიოს ვაჟთა პირველ ათეულს ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (2875) მეწინავეობს. მეორე-მეათე ადგილებზე არიან: ფაბიანო კარუანა (აშშ, 2819), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2805), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2779), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2779), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2775), იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2775), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2774), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2767), ვლადისლავ არტემიევი (რუსეთი, 2761). ჩვენი ქვეყნის სახელით მოასპარეზე ივან ჩეპარინოვი 2666 პუნქტით 83-ე საფეხურზე ჩამოქვეითდა.

საქართველოს ვაჟთა ათეული: ივან ჩეპარინოვი (2666), ლევან ფანცულაია (2614), მიხეილ მჭედლიშვილი (2609), ბაადურ ჯობავა (2595), დავით ჯოჯუა (2580), ლუკა პაიჭაძე (2557), დავით არუთინიანი (2551), ზურაბ სტურუა (2540), კონსტანტინე შანავა (2538), თორნიკე სანიკიძე (2509).

ლექსო ცინცაძე

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲗᲐ **ლიგის წლევანდელი სეზონი ისტორიაში შევა, როგორც დაუვიწყარი საფეხბურთო სპექტაკლებით დახუნძლული სანახაობა. ჰოდა, ამიტომ კიდევ უფრო დასანანია ის უსახური ბღლარძუნი, რომელიც მადრიდში გამართულ ფინალში ვიხილეთ.**

მოვლენათა ასეთ განვითარებას ხელი სლოვენიელმა მსაჯმა დამირ სკომინამ შეუწყო, რომელმაც 25-ე(!) წამზე თითიდან გამოწოვილი საბაბით უფეშქაშა პენალტი „ლივერპულს“ და, კულტურულად თუ ვიტყვით, თამაში გააფუჭა.

დიახ, სალაჰის ზუსტი დარტყმის შემდეგ ზურგის მოშიშვლებას აღარც მისი პარტნიორები ცდილობდნენ და ვერც „ტოტენჰემი“ ბედავდა, რომელსაც, მართალია, კეინი დაუბრუნდა, მაგრამ ჩვეული კონდიციებიდან იმ საღამოს იგი ისევე შორს იყო, როგორც მისი გუნდი — მწვერვალისგან.

ასე რომ, სავსებით ლოგიკური გახლდათ ის საკონტროლო გასროლა, რომელიც 87-ე წუთზე ნახევარფინალის ერთ-ერთმა გმირმა ორიჯიმ შეასრულა — 2:0.

ამ გამარჯვებით, რომელიც იურგენ კლოპის სამწვრთნელო კარიერაში პირველია, მერსისაიდელებმა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მატიანეში მესამე პოზიციაზე გადაინაცვლეს: „რეალი“ — 13, „მილანი“ — 7, „ლივერპული“ — 6, „ბარსელონა“, „ბაიერნი“ — 5-5, „აიაქსი“ — 4.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა „წითლების“ მიერ დამყარებული ფინანსური რეკორდი — მათ დასრულებულ გათამაშებაში 110 მილიონი ევრო გამოიმუშავეს (წინა მიღწევა 2017 წელს „იუვენტუსს“ ეკუთვნოდა — 109 მილიონი).

აქვე გაგაცნობთ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის სიმბოლურ ნაკრებს, რომელშიც უეფამ 20 რჩეული შეიყვანა: ალისონი, არნოლდი, ვან დეიკი, რობერტსონი, ვეინალდუმი, მანე („ლივერპული“), დე ლიხტი, დე იონგი, ნერეში, ზიეჩი, ტადიჩი („აიაქსი“, დე ბრუინი, სტერლინგი („სიტი“), ნდომბელე („ლიონი“), ტერ შტეგენი, მესი („ბარსელონა“), ვერტონგენი, სისოკო, მოურა („ტოტენჰემი“), რონალდო („იუვენტუსი“).

გიორგი ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ **მოგეხსენებათ, „გოლდენ სტეიტი“ ზედიზედ მეხუთედ თამაშობს ნბა-ს ფინალში და წლეულს ტრადიცია დაარღვია — თუ განვლილ სეზონებში გამარჯვებით იწყებდა სერიებს, ამჯერად მდევრის როლში აღმოჩნდა.**

ამდენად, კანადაში „ტორონტოსთან“ გამართულ მეორე მატჩის შედეგს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ოკლენდელთათვის და მათაც მძაფრ ბრძოლაში აღებული ღირსეული რევანშით ანგარიში გაათანაბრეს — 109:104 (1:1).

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ შეხვედრის ბედს კალიფორნიელთა სნაიპერები წყვეტენ ხოლმე, მაგრამ გუშინდელ ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა დრეიმონდ გრინმა (17 ქულა, 10 მოხსნა და 9 შედეგიანი გადაცემა) და ანდრე იგუოდალამ თქვეს, რომელმაც ბოლო წამებზე „ოქროს“ სამქულიანი ჩააგდო.

ამ დღეებში მეტოქენი ამერიკაში გადაინაცვლებენ, სადაც ზედიზედ ორჯერ მასპინძელი უკვე სტივენ კარის გუნდი იქნება, რომელმაც საკუთარი დარბაზის უპირატესობა განიმტკიცა.

ᲐᲛᲐᲡᲚᲝᲑᲐᲨᲘ **გაირკვა, რომ დამდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც 31 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე ჩინეთი უმასპინძლებს, უმთავრესი ფავორიტის — აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე თანხმობა განაცხადეს ნბა-ს წლევანდელი რეგულარული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ჯეიმს ჰარდენმა („ჰიუსტონი“), გამთამაშებელმა კემბა უოლკერმა („შარლოტი“) და თავდამსხმელმა ენტონი დევისმა („ნიუ ორლეანი“).**

შეგახსენებთ, რომ „ე“ ჯგუფში ლეგენდარული გრეგ პოპოვიჩის გაწვრთნილ „ოცნების გუნდს“ მეტოქეობას თურქები, ჩეხები და იაპონელები გაუწევენ.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲩᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ

ᲕᲔᲠ **გეტყვით, უბრალო დამთხვევაა თუ კანონზომიერება, მაგრამ ვინც წლეულს ნახევარფინალში „ბარსელონას“ მოუგო, იმან ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა.**

ფეხბურთში რომ ეს „ლივერპულმა“ მოახერხა, უკვე იცით. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ხელბურთშიც, რომლის დასკვნით რაუნდსაც გერმანულმა კიოლნმა უმასპინძლა, ოღონდ ბოლო სეზონების ფავორიტების — გერმანული და ფრანგული კლუბების გარეშე.

ნახევარფინალი. „ვარდარი“ (მაკედონია) — „ბარსელონა“ — 29:27, „ვესპრემი“ (უნგრეთი) — „ვივე კელჩე“ (პოლონეთი) 33:30.

მატჩი III ადგილისთვის.

„ბარსელონა“ — „ვივე კელჩე“ 40:35.

ფინალი. „ვარდარი“ — „ვესპრემი “ 27:24.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲡᲝᲕᲜᲐᲡ

რუსეთში მცხოვრები ქართველებისთვის ბატონი **სევერიან ცაგარეიშვილის** სახელი ძალიან მნიშვნელოვანია. გამოჩენილმა მეცნიერმა, რომელსაც აკადემიკოსის საპატიო წოდება მიენიჭა, რუსეთში ერთ-ერთი პირველი დიასპორული ორგანიზაცია დააარსა. ორივე ქვეყნის ურთიერთობებისთვის ერთობ რთულ დროს მუშაობდა და ყველა ლტოლვილს კარს უღებდა. ვინც ბატონ სევერიანს იცნობდა, იგი ოჯახისა და მეგობართა უდიდესი სიყვარულით აღსავსე, ნებისმიერ დროს უანგაროდ დამხმარე კაცად დაამახსოვრდება.

ახლახან გალინა ვიშნევსკაიას სახელობის მოსკოვის საოპერო სიმღერის ცენტრში მისი ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი შედგა. დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ბატონი სევერიანის პატივის მისაგებად ორასზე მეტი მეგობარი მივიდა, ბევრი მათგანი სიტყვითაც გამოვიდა.

საქართველოდან ვიდეომიმართვა საქართველოს ყოფილმა ელჩმა რუსეთში ზურაბ აბაშიძემ, საესტრადო მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ გამოგზავნეს. თითოეულმა მათგანმა სევერიან ცაგარეიშვილზე უდიდესი სითბოთი ისაუბრა, მისი ცხოვრებიდან რამდენიმე სამახსოვრო მომენტი გაიხსენეს, დამსწრეთ თავიანთი ტკბილი მოგონება და ნაფიქრალი გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას. საღამო იმდენად ცოცხალ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რომ შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ბატონი სევერიანი დარბაზში იმყოფებოდა.

საღამოს განსაკუთრებულ ნაწილად სამუსიკო ნომრები იქცა. ცნობილმა ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა ფორტეპიანოსთან აკომპანემენტით ორი სიმღერა შეასრულა, თეატრ „გელიკონ ოპერის“ უდიდესი გრძნობით ფრანსისკო პულენკის რომანსი „სიყვარულის გზები“ იმღერა. კონცერტში ასევე მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტმა დიანა ღურწკაიამ.

საღამოს დასასრულ, სევერიან ცაგარეიშვილის შვილიშვილმა ვადიმმა შეასრულა რევაზ ლაღიძის ცნობილი სიმღერა „თბილისო“, რომლის უბადლო მელოდიაში თითქოს თაიგულად შეიკრა ამ საოცარი კაცის ლამაზი სულის მთელი სიგრძე-სიგანე.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სპეტაკი სული!

ᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲕᲘ,
მოსკოვი

ᲡᲣᲚᲗᲐᲗᲗᲐᲜᲐ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ყოფილი თანამშრომელი, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠ (ᲯᲣᲜᲐ) ᲕᲐᲗᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება 4 VI, 15 სთ.
მისამართი: ტატიშვილის ქ. 17, IV სართული

ოთარ ბრეგვაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლედი და თენგიზ ქოიავებს შვილის

ᲑᲝᲑᲐ ᲥᲝᲘᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

მალხაზ და გოჩა დვალები, ოთარ ტურაბელიძე, გია ლომიძე, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამორჩეული პიროვნების

ᲑᲘᲐ ᲮᲘᲯᲐᲙᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს, ყველა ნათესავსა და ახლობელს.

თენგიზ ქავთარაძე მწუხარებას გამოხატავს ღირსეული მამულიშვილის

ᲖᲐᲗᲣ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲚᲘᲜᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ კუჭუხიძე ოჯახებით იუწყებიან საყვარელი პიროვნების

ᲥᲣᲩᲣᲙᲘ ᲐᲠᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲝᲮᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ თამარს, იას და დათოს.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲨᲘ: ლიტერატურა, ხელოვნება, პუბლიცისტიკა და მეცნიერება.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა ღირებულებების გამო, საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვეს, გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი:

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში;

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილიქნეს პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი;

დ) საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოები (ნაშრომი) უნდა ეხმიანებოდეს აფხაზეთის თემატიკას და ემსახურებოდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოპულარიზაციას;

ე) საკონკურსო ნაწარმოები (ნაშრომი) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან აფხაზურ ენებზე, ასევე ნებისმიერ უცხო ენაზე სრული ქართული თარგმანის თანხლებით;

ვ) ლიტერატურული, ხელოვნების, პუბლიცისტური და მეცნიერული ნაწარმოების თუ ნაშრომის საკონკურსოდ წარდგენა დასაშვებია მხოლოდ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ;

ზ) ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულიად გაეცნობა საზოგადოება (კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, მასმედიის მეშვეობით და ა.შ.);

თ) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ ერთხელ უკვე უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმეორედ წარდგენა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები (ნაშრომი) საკონკურსოდ დაშვებული არ იქნა ტექნიკური მიზეზების გამო, ასევე ავტორის წარდგენა განმეორებით შესაძლებელია ახალი ნამუშევრით;

ი) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭების შემთხვევაში პრემია ავტორთა შორის ნაწილდება თანაბრად;

კ) პირს, გარდაცვალების შემდეგ, პრემია შეიძლება მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გარდაცვალებამდე იყო წარდგენილი, ან გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები (ნაშრომი).

კონკურსზე მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგინება. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.

3. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).

4. ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკის და მეცნიერების დარგში შექმნილი ნაწაროებები 11 ეგზემპლარად (აუდიო, ვიდეო ჩანაწერები, მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურა 11 ეგზემპლარად). წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

5. კანდიდატის ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2019 წლის 04 ივნისიდან - 01 აგვისტოს ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება 2019 წლის 29 ნოემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
საქართველო- თბილისი 0102, უზნაძის ქ. №68, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო,
ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური, მე-3 სართული,
საკონტაქტო პირები:
ლიანა ხურცილავა, ეკატერინა გადილია
ტელ: 599 85 54 41; 599 45 33 45.

პოეტის ერთი ლექსი

ქალთა ემანსიპაცია

ქალთა სამყაროში ქაოსია სრული,
მიდიან... მოდიან... ადიან... ჩადიან...
მწიფე ნესვისა და მარწყვის სუნით,
დადიან შორტიანები და ჩადრიანები.

ჩადრიანებში გიზგიზებს კოცონი,
გიზგიზებს და ითხოვს ემანსიპაციას,
რა ეშველება ვნებებს მოწოლილს,
სულერთია ჩადრშია თუ შორტები აცვიათ.

ემანსიპაცია აგრილებს გრძნობებს,
ზოგიერთი ეძახის ატროფიას,
ატროფირებულები ყოველთვის გრძნობენ,
რომ მათ ეგზალტაცია არ ყოფნით.

დეკოლტე მკერდებით და მინი კაბებით,
მინი კაბებით და ჯინსის შორტებით, —
წამალია მათი სხეულის აბები,
სწორედ მაშინ, თავისთავს შორდები.

როცა მათ მკლავებში გაინაბები,
ძუძუთა კვირტები მოგაშტერდება,
აღარ იცი, როგორ ღამდება და თენდება,
აღარ იცი, როგორ თენდება და ღამდება.

ჩადრებში დამალულია ცეცხლი,
როგორც ქისაში თურქული ალთუნი,
გიზგიზებს ოქრო, ჩხრიალებს ვერცხლი,
მხოლოდ თვალები მოჩანს ხათუნის.

ჩადრებში ღვივის და გიზგიზებს ცეცხლი,
ნეტავი მას, ვინც არი პირისფარეში,
ჩადრში იმალება წარბები, მერცხლის
ფრთებივით გაქცეული უსივრცო მხარეში.

ჰურიები ცეკვავენ ჩადრების შიგნით,
ამ სილამაზით უძღები სვავები,
ხოლო თეძოები ზეწარზე იწვის,
იწვის და ინავლება ფეთქებადი ორგია.

თვალები ჭამენ და თვალები სვამენ,
თვალები — სისხლით უძღები სვავები,
ხოლო ძარღვებში გუგუნებს სისხლი,
ადუღებული მაჭარის რისხვით.

ასეთ დროს მეტი გაძლება გმართებს,
თუ კი კრიჭაში ჩაგიდგა შეითანი,
ჩადრიან ხათუნს, მე გეტყვი მართალს,
არავინ გაამიჯნურებს შენთან.

ზემო სტრიქონში შაითანი ვახსენე,
შაითანი ცბიერი, ბოროტი მრუში,
ველარ გიშველის შაჰსეი-ვაჰსეი,
ხათუნის ტრფობა თუ გაღვივდა გულში.

ერმიტაჟშიც მინახავს, მინახავს ლუვრშიც,
ჩადრიან ქალთა თვალების ვერცხლი.
პიზას პირამიდასთან ვიხილე გუშინ,
შავი თვალების გიზგიზა ცეცხლი.

ალექსანდრია... სტამბოლი... თეირანი...
აქ არი ჩადრიანი ქალების ცვენა,
გუშინდელი ჩადრიანი ჯეირანი,
საუბრობს უზადო ფრანგული ენით.

პიზასთან, როგორც აქლემი და ჯიპი,
დადის შორტიანიც და ჩადრიანიც,
ემანსიპიცირებული მოუჩანთ ჭიპი,
მაბრუებს მათი ადრენალინი.

ჩადრიანები მუმიებივით ჩანდნენ...
გუშინდელ ჩადრიანს
შორტი აცვია,
შორტები მთლიანად
განდევნის ჩადრებს,
შორტები — ქალთა
ემანსიპაცია!



შოთა ზოიძე
ბათუმი.

ახალი თაობის ვირტუოზები

ქართული **სახვითი ხელოვნების მუზეუმში დიდი წარმატებით გაიხსნა ახალი თაობის ვარსკვლავების მუსიკის ფესტივალი. ხელოვანთა კავშირი** კონცეპტ-Art **და ფონდი „იავნანა“ 31 მაისს, 3 და 7 ივნისს მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას წარუდგენს ახალი თაობის მუსიკოსების ფესტივალს** The New Generation Music Festival.

ფესტივალის პირველ დღეს მსმენელის წინაშე წარდგნენ პიანისტი სანდრო გეგეჭკორი, რომელმაც ბეთჰოვენის, შოპენის, შუბერტის და ლისტის 5 კომპოზოცია შეასრულა. სანდრო არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია, მას უამრავი მოწვევა აქვს მსოფლიოს სცვადასხვა ქვეყნიდან, რამდენიმე კვირის წინ ის დაბრუნდა ჩინეთიდან, სადაც წარმატებული გასტროლები ჰქონდა. შემდეგ მსმენელის წინ წარსდგა რეზი მარშანია, რომელმაც ბახ-ზილოტის და შოპენის

კომპოზიციები შეასრულა. რეზის წარმატებებს ჩვენ გაზეთის წინა ნომერში პატარა წერილი მივუძღვენით... და ბოლოს, ანასტასია აღლაძემ სანდრო გეგეჭკორის აკომპანემენტის თანხლებით ვენიავსკის პოლონეზი და ჩაიკოვსკის ვალსი-სკერცო შეასრულა. ანასტასია აღლაძემ ამ გაზაფხულზე ევროპის საუკეთესო სასწავლებლები შემოიარა და გამოჩენილ პედაგოგებთან მასტერ-კლასებს დაესწრო. მათი აზრით ანასტასიას ბრწყინვალე მომავალი ელოდება. კონცერტის ბოლოს ახალგაზრდა მუსიკოსებმა სიურპრიზის სახით „ბისზე“ორი ნაწარმოები შეასრულეს ვაჟა აზარაშვილისა და გია ყანჩელის კომპოზიციებიდან, რომლებიც მიუძღვნეს მათ საყვარელ ადამიანებს. ხოლო ფოიეში კიდევ ერთი ნაწყვეტი შეასრულეს, რომლითაც სანდროს პედაგოგ პროფესორ ალექსანდრე გარბერს 70 წლის იუბილე მიულოცეს.

საღამოს წამყვანად მოგვევლინა პიანისტი და შოუმენი დათუნა ალადაშვილი, ფონდ „იავნანას“ პირველი სტიპენდიანტი, რომლის დახმარებითაც მან ამერიკაში მიიღო განათლება.

ფესტივალის მომდევნო კონცერტებზე მსმენელს ელის შეხვედრა ისეთ წარმატებულ ახალგაზრდა მუსიკოსებთან და არაერთი კონკურსის გამარჯვებულებთან, როგორებიც არიან ანა ჭანია, ნანუკა გოლიაძე, ლიზი რაზმაძე,სანდრო ნებიერიძე, სანდრო სიდამონიძე, გიორგი გიგაშვილი და დავით ხრიკული.

რევაზ თოფურია

ახალი მატარებელი, რომლითაც თბილისიდან ქუთაისში 15 წუთში ჩავალთ!..

„მსოფლიო მეტროს“ ამბიციური პროექტი შესაძლოა, რეალობად იქცეს. პროექტის იდეა ჯერ კიდევ 2012 წელს ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანიის Tesla-ს დამფუძნებელმა ილონ მასკმა გააჟღერა, პროექტმა სახელწოდება Hyperloop ინგლისური Hyper loop-დან მიიღო, რაც ჰიპერ მარყუჟს ნიშნავს. მედია ამ იდეას „მსოფლიო მეტროსაც“ უწოდებს.

Hyperloop — ეს მატარებელი-კაფსულაა, რომელიც მაღალი სიჩქარით ვაკუუმური მილების მეშვეობით გადაადგილდება.

Hyperloop One-ის უახლოესი 5 წლის გეგმა მოიცავს 3 ხაზის მშენებლობას. თავდაპირველად იდეის განხორციელება აშშ-ში კალიფორნიის შტატში იგეგმება, უკვე 2017 წელს ვაკუუმური მილსადენი სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესს შორის უნდა განთავსდეს, რომელშიც კაფსულები 1127 კმ/სთ სიჩქარით იმოძრავებენ და ამ მანძილს 30 წუთში დაფარავს.

შეთანხმება მიღწეულია ჩეხეთისა და სლოვაკეთის ხელისუფლებებთან, „მსოფლიო მეტროს“ ერთი მონაკვეთი თავდაპირველად სწორედ იქ გაკეთდება და ის ბრატისლავას ბრნოსთან და პრაღასთან დააკავშირებს.

გარდა ამისა, მოლაპარაკებები მიდის ავსტრალიის ხელისუფლებასთან და შეთანხმება მიღწეულია აბუ-დაბისთან (არაბთა გაერთიანებული საამიროები). სამგზავრო სისტემის სიგრძე 159 კმ-ია და ის ორ ქალაქს დუბაისა და აბუ-დაბის შეაერთებს, ასეთი მანძილის გავლას ჩვეულებისამებრ ავტომობილით 2 საათამდე სჭირდება, Hyperloop-ი კი ამ დროს 12 წუთამდე შეამცირებს.

Hyperloop One-მა წარმოადგინა მსოფლიო რუკა, რომელზეც დატანილია Hyperloop-ის მარშრუტები.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7870; ევრო - 3.1078;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5066;
100 რუბლი - 4.2553; თურქული ლირა - 0.4749;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6393;
1000 სომხური დრამი - 5.8123.

ამინდი 4 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +35
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +35
თბილისი: ღამე +20, დღე +35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge